# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | პარასკევი 13 აგვისტო 1999 №153 (926) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მადლობა ყიფიანს თამაშისთვის, ლოკომოტივს მასპინძლობისთვის

უეფას თასის შესარჩევი წრე
UEFA CUP
პირველი მატჩი

| | |
|---|---|
| ლანტანა | 0 |
| ტორპედო | 5 |

## რუსო, ტურისტო!

დავით ყიფიანის გაწვრთნილმა ქუთაისის „ტორპედომ“ ხვადაგიანის, ჯანაშიას, იონანიძის, ჩხეტიანის და მეგრელაძის გოლებით „ლანტანა“ გაანადგურა და ტალინელ რუსებს ქუთაისში ტურისტული მოგზაურობის საგზური გამოუწერა

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი


ტალინური ტაიმები ზურაბ იონანიძის (მარცხნივ) და გიორგი მეგრელაძის გოლებით მორჩა


„ლოკომოტივმა“ სადებიუტო გოლით გაიხარა

უეფას თასის შესარჩევი წრე
UEFA CUP
პირველი მატჩი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| ლინფილდი | 0 |

## ლოკომოტივს პატივისცემით ემუქრებიან

ნამატჩევს „ლინფილდის“ პრეზიდენტმა უილიამ მაკუბრიმ თბილისელებს მასპინძლობა შეუქო, ასე სტუმართმოყვრულად არსად დაგვხვედრიან და ბელფასტში ჩვენზე იყოსო. ეგაა, „ლოკომოტივმა“ სტუმრები ანგარიშშიც დაინდო, ლევან ქებაძის ერთი გოლი აკმარა

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

### 4 გაგონილა?!

„დინამო“ ისევ უმწვრთნელოდაა

### 7 იმედიანი ბეკენბაუერი და მუხლმტკივანი იაშვილი

დღეს „ვოლფსბურგ“ — „მიუნხენისა“ და „დუისბურგ“ — „ლევერკუზენის“ მატჩებით წლევანდელი ბუნდესლიგა დაიწყება

### 11 ისევ ერთი თვე



არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ შესაძლოა აგვისტოს ბოლომდე ვეღარ ითამაშოს

### 14 ჭირისუფლები ველოსიპედზე



ველომრბოლელებმა თანამოსაქმე კაცურად დაიტირეს

# ლინფილდი მოწამლულა... როდის გვეშველება?!



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„ლოკომოტივმა" ევროდებიუტი ლამაზი გოლით დაიწყო



ბადრი ქეთილაძის ფოტო

დევიდ ჯეფრი

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ორივე კლუბის მთავარი მწვრთნელი გამოცხადდა. „ლოკომოტივის" დამრიგებელ მურთაზ ხურცილავასგან განსხვავებით, „ლინფილდის" თავკაცი **დევიდ ჯეფრი** მხიარულად გამოიყურებოდა. პირველად სწორედ მას ვთხოვეთ შეხვედრის კომენტარი.

— მეტოქემ აშკარად გვაჯობა. განსაკუთრებით ნომერი ცხრა (ქებაძე) და ნომერი ჩვიდმეტი (ჩომახიძე) დამამახსოვრდა. ამ ბიჭების შესრულებით ზოგჯერ დიდი ფეხბურთის ელემენტები ვიხილე. საკმაოდ სწრაფები და ტექნიკურები არიან, ბურთს კარგად ფლობენ.

რაც შეეხება ჩემს გუნდს, ვამაყობ მისით. თამაშის წინ 10 კაცი მოწამლული გვყავდა, მიუხედავად ამისა, მხოლოდ მინიმალური სხვაობით დავმარცხდით.

**— თუ შეიძლება, ამ ფაქტის შესახებ უფრო დაწვრილებით გვითხარით...**

— გუშინდელი საუზმის შემდეგ თავს კარგად ვერ გრძნობდნენ. 10 ფეხბურთელი და დელეგაციის წევრთა უმრავლესობა მოწამვლას უჩიოდა. მთელი ღამე ტუალეტში გაათენეს. დილით ამის გამო ძალიან ვშიშობდით. მატჩის გადადებაზეც კი დავიწყეთ ფიქრი. ასეთი რამ კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა გუნდი უეფას წარმომადგენელს ამის შესახებ მატჩამდე 12 საათით ადრე აცნობებს. როცა ბიჭებს დავეკითხე, მითხრეს, თამაშს შევძლებთო. ერთს დავამატებ, რაც მოხდა, ამაში ქართული მხარე არაფერ შუაშია...

**— შედეგით კმაყოფილი ხართ?**

— რა თქმა უნდა. თუმცა კარგად მესმის, რომ საქმე ბოლომდე გაკეთებული არ არის. რთული საპასუხო შეხვედრა გველის.

**— შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— სამოცდაათი-ოცდაათზე „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

**— „ლინფილდის" რეზერვზე რას გვეტყვით?**

— ექვსი ახალი ფეხბურთელის გამოცდა შემიძლია. ასევე დიდი იმედი მაქვს, რომ ტრავმირებული ფერგიუსონიც გამოკეთდება. იგი მართლაც დიდ ძალას წარმოადენს ჩვენი გუნდისთვის. ფერგიუსონი ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთო ლიგის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება.

**— მეტოქეზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— საკმაოდ კარგი. ძალიან გაგვიჭირდა. 17 წელია, ფეხბურთში ვმოღვაწეობ და რაც ამ ხნის განმავლობაში ცოდნა და გამოცდილება მივიღე, თითქმის ყველაფრის გამოყენება დამჭირდა.

**— რამდენი პროფესიონალი ფეხბურთელი გყავთ გუნდში?**

— მხოლოდ სამი. დანარჩენები, შეიძლება ითქვას, ნახევრადპროფესიონალები არიან. ისინი კლუბისგანაც იღებენ ანაზღაურებას და იმ ორგანიზაციებისგანაც, სადაც პარალელურად მოღვაწეობენ.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მურთაზ ხურცილავა

**მურთაზ ხურცილავას** კომენტარი:

— „ლინფილდის" შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. როცა გუშინწინ ცოტა ხანს ვუყურე მეტოქის ვარჯიშს, იმ საღამოსვე შევკრიბე ბიჭები და ვუთხარი, რომ ძალიან სერიოზული თამაში გველოდა.

ჩვენებს ეგონათ, ადვილი შეხვედრა იქნებოდა, მაგრამ თქვენც კარგად ნახეთ, რაც არ უნდა ვიძახოთ, ნახევრადპროფესიონალები არიანო, ეს არაფერს ნიშნავს, ფეხბურთის თამაში ნამდვილად იციან. „ლინფილდისგან" ვერავის გამოვარჩევ, გუნდი მთლიანობაში მომეწონა. როგორც შეუძლია, ისე თამაშობს და ისე ასრულებს მწვრთნელის დავალებას.

**— მეკარის გაძევების შესახებ რას გვეტყვით?**

— ეს იყო არასპორტული საქციელი. მსაჯმა ჯანელიძე სამართლიანად დასაჯა. უნდა იცოდეთ, რომ ჯანელიძე ჩემგანაც სამაგალითოდ დაისჯება. მე ამას არავის ვაპატიებ.

**— საპასუხო მატჩისთვის შემადგენლობას თუ გადაახალისებთ?**

— არა მგონია. „ლოკომოტივი" სულ ახალ გუნდად ყალიბდება. ძველებიდან 3-4 ფეხბურთელი შემორჩა. ბიჭებს შეთამაშება აკლია. დარწმუნებული ვარ, მათ მეტი შეუძლიათ. ამისთვის კი გარკვეული დროა საჭირო. მჯერა, საპასუხო შეხვედრაში უკეთესად გავირჯებით. „ლინფილდს" იქ უფრო ძნელი თამაში ელის.

**— ტაქტიკას თუ შეცვლით?**

— მხოლოდ ტაქტიკაზე არაა დამოკიდებული ფეხბურთი. დღესაც ნახეთ, მესამე ფორვარდი გამოვიყვანე, მაგრამ... იცით, გააჩნია დავალებას როგორ შეასრულებ. მწამს, გოგიჩაიშვილსა და ქებაძესაც უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ჩვენ გვქონდა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ფოთსა და ბათუმში. ბიჭებმა იქ უკეთესად ითამაშეს და სწორედ აქედან ვაკეთებ ამ დასკვნას.

**— შედეგით უკმაყოფილო ჩანხართ.**

— რასაკვირველია. იცით, როცა ამდენ მომენტს ვერ გამოიყენებ, ეს უკვე არცოდნის მაუწყებელია. ბედმა იქნებ ერთხელ გიმტყუნოს, მაგრამ არა სამჯერ და ოთხჯერ... იმ სიტუაციიდან, რომელიც ბიჭებს შეექმნათ, ვალდებული ხარ, გოლი გაიტანო.

ასეთი დონის შეხვედრებში ქართველი ფეხბურთელები რატომღაც ყოველთვის შიშით დათრგუნვილები გადიან მოედანზე. გვიჭირს მათთვის სათამაშო სქემის ახსნა. ვერ გაუგიათ, რაზე ესაუბრები.

მატჩამდე ანატოლი მილჩენკო მივიყვანე გუნდში. მან ყველაფერი აუხსნა ფეხბურთელებს. წესებში რაღაც სიახლეებია და იმის შესახებაც ელაპარაკა, მაგრამ რა გამოვიდა? გარკვეული პასუხისმგებლობა ქართველ მსაჯებსაც ეკისრებათ. ისინი ჩემპიონატის შეხვედრებში ბევრს პატიობენ ფეხბურთელებს.

მიუხედავად ყველაფრისა, პანიკა არ უნდა ავტეხოთ. „ლოკომოტივის" უმრავლესობამ პირველად ითამაშა ევროტურნირის ასეთი დონის მატჩში. ასეა თუ ისე, ბიჭებმა მოიგეს.

**— შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ბელფასტში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის ორივე გუნდის შანსი თანაბარია.

**— მსაჯობაზე როგორი აზრი დაგრჩათ?**

— ვფიქრობ, იდეალურად იმსაჯეს. საერთოდ ფეხბურთი თამაშით უნდა მოიგო, ყოველგვარი წუწუნის გარეშე. სამწუხაროდ, ყოველთვის ასეთი შედეგი გვექნება, ვიდრე შინაურ გათამაშებას არ ეშველება. კი გვინდა „ბარსელონას" დარ გუნდებთან გამარჯვება, მაგრამ ეს შეუძლებელია. „ლინფილდს" რომ უყურებთ, ამ გუნდმა ცნობილ ევროპულ გუნდებთან გამართა საკონტროლო შეხვედრები და გარკვეული გამოცდილებაც შეიძინა. ჩვენ კი... თავადაც ნახეთ, ბიჭები როგორ ჩქარობდნენ მეორე გოლის გატანას. რაც უფრო ჩქარობ, მეტ შეცდომას უშვებ. ამის მიზეზად კი გამოუცდელობა მიმაჩნია.

**ხვიჩა სანიკიძე**

## უეფას თასი. შესარჩევი ეტაპი. I წრე
12 აგვისტო

**კლაქსვიკარი (ფარერები) 0:5 ვრაცერი (ავსტრია)**
0:1 რადოვიჩი (7), 0:2 სტანდფესტი (9), 0:3 რადოვიჩი (37), 0:4, 0:5 სტანდფესტი (86, 90)

**გორიცა (სლოვენია) 2:0 ინტერი (უელსი)**

**ლუნგბიუ (დანია) 7:0 ბირკირკარა (მალტა)**
1:0 პერმანსენი (29), 2:0 მ. იენსენი (33), 3:0 ლ. იენსენი (47), 4:0 მაგლები (68), 5:0 ლუტი (82), 6:0 პავლიკი (87), 7:0 პერმანსენი (90)

**ანდერლეხტი (ბელგია) 6:1 ლეიფტური (ისლანდია)**
1:0 გოორი (19), 1:1 დე ბეკი (25 ს.კ.), 2:1 გუნარსონი (40 ს.კ.), 3:1 გოორი (41), 4:1 ზეტერბერგი (53), 5:1 ბასეჯიო (56), 6:1 რაძინსკი (68)

**ბელშინა (ბელარუსი) 1:5 ომონია (კვიპროსი)**

**ვიკინგი (ნორვეგია) 7:0 პრინჩიპატი (ანდორა)**
1:0 აარშამი (5), 2:0 სვენსონი (17), 3:0 დადასონი (40), 4:0 სვენსონი (48), 5:0 ნუგარდი (64), 6:0, 7:0 დადასონი (72, 82)

**ერევანი (სომხეთი) 0:2 ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი)**

**ტულევიკი (ესტონეთი) 0:3 ბრიუგე (ბელგია)**
0:1 დეფლანდრე (50 პ.), 0:2, 0:3 იანკაუსკასი (59, 68)

**ვაასა (ფინეთი) 1:1 სტ. ჯონსტონი (შოტლანდია)**
1:0 პოია (40), 1:1 ლაუნდესი (76)

**პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:3 ცსკა (ბულგარეთი)**
0:1 მანჩევი (2), 0:2 კოვაჩევიჩი (77), 0:3 ბუკარევი (85)

**კრივბასი (უკრაინა) 3:0 შამქირი (აზერბაიჯანი)**
1:0 პონომარენკო (10), 2:0 პალიანისტა (63), 3:0 მოროზი (81)

**სტიაუა (რუმინეთი) 3:0 ლევადია (ესტონეთი)**

**გრასჰოპერი (შვეიცარია) 4:0 ბრეი (ირლანდია)**
1:0, 2:0 შაპუიზა (30, 63), 3:0, 4:0 იზაბელა (78, 83)

**მეტალურგსი (ლატვია) 3:2 ლეხი (პოლონეთი)**
0:1 ჟურავსკი (24), 1:1 დულდერსი (36), 2:1 ვერპაკოვსკი (53), 2:2 აევსკი (59), 3:2 დრაგუნსი (62)

**ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 2:3 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)**

**ბოდო გლიმტი (ნორვეგია) 1:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი)**
1:0 სტაურვიკი (27)

**გიოტებორგი (შვედეთი) 3:0 კორკი (ირლანდია)**
1:0 ანდერსონი (36), 2:0, 3:0 კარლსონი (73, 87)

**რეიკიავიკი (ისლანდია) 1:0 კილმარნოკი (შოტლანდია)**
1:0 პინრიკსონი (87)

**შერიფი (მოლდოვა) 1:1 სიგმა (ჩეხეთი)**
1:0 მუჟირი (10), 1:1 კოვაჩი (20)

**ვოივოდინა (იუგოსლავია) 4:0 უიპეშტი (უნგრეთი)**
1:0 სუსკავჩევიჩი (3), 2:0, 3:0 იანკოვიჩი (19 პ. 47), 4:0 იოვიჩი (61)

**ვლაზნია (ალბანეთი) 1:1 სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)**
0:1 ლეიტნერი (28), 1:1 სინანი (43)

**ქუიმბრანი (უელსი) 0:6 სელტიკი (შოტლანდია)**
0:1 ბერკოვიჩი (2), 0:2 ტებილი (20), 0:3 ლარსონი (32), 0:4 ვიდუკა (52), 0:5 ლარსონი (61), 0:6 რატბაკი (87)

**აპოელი (კვიპროსი) 0:0 ლევსკი (ბულგარეთი)**

**ფერენცვაროში (უნგრეთი) 3:1 კონსტრუქტორული (მოლდოვა)**
1:0 ხორვატი (35), 2:0 ფუზი (41), 3:0 კოვაჩი (72), 3:1 კომლიონოკი (81)

**მონდერკანჟი (ლუქსემბურგი) 2:6 დინამო (რუმინეთი)**

**ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) 1:0 ტორსჰავენი (ფარერები)**

**ინტერი (სლოვაკეთი) 3:1 ბილიში (ალბანეთი)**

**რიგა (ლატვია) 0:0 ჰელსინბორგი (შვედეთი)**

**ვარდარი (მაკედონია) 0:5 ლეგია (პოლონეთი)**

**სლიმა (მალტა) 0:3 ციურიხი (შვეიცარია)**
0:1 ჟაველაშვილი (36), 0:2 ბარტლეტი (80), 0:3 კებე (90)

**ჰაიდუკი (ხორვატია) 5:0 დუდელანჟი (ლუქსემბურგი)**

**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 3:1 კაუნასი (ლიტვა)**

**ბატე (ბელარუსი) 1:7 ლოკომოტივი (რუსეთი)**

**ოლიმპია (სლოვენია) 1:1 კარედა (ლიტვა)**



REUTERS ბრიუსელიდან

„ანდერლეხტი" — „ლეიფტური" 6:1.
ბელგიელმა ვალტერ ბასეჯიომ (№28) მეტოქე გააბითურა

# რა იყო და რა ყოფილა

## ლოკომოტივმა მოწამლულ ლინფილდს ბევრიც ვერა დააკლო

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. 9 000 მაყურებელი

## ლოკომოტივი 1:0 ლინფილდი

1:0 ქებაძე (23)

| ლოკომოტივი |
|---|
| 1. დ. ჯანელიძე |
| 2. ბალაშვილი |
| 15. ლ. მიქაძე — 16. მ. ქობულაძე — 5. ჩიხრაძე |
| 6. ბარამიძე |
| 4. ბარნოვი |
| 17. ჩომახიძე — 10. შავგულიძე |
| 8. გოგიჩაიშვილი — 9. ქებაძე |

| ლინფილდი |
|---|
| 7. ლერმორი |
| 9. გალაგანი — 10. მარქსი |
| 6. ბითი — 4. კელი |
| 8. გორმანი |
| 3. ისტონი — 5. მორი — 11. ბეილი — 2. მაკდონალდსი |
| 13. რობინსონი |

შეცვლა: ბარამიძე — 7. კაციაშვილი (46), შავგულიძე — 14. კ. მელქაძე (77), ჩომახიძე — 12. ასლანაძე (79),

გაფრთხილება: ქებაძე (53), ჩომახიძე (56), მორი (79)

გაძევება: ჯანელიძე (79)

მსაჯები: ე. გონსალესი; ლ. ლოპესი, ხ. რონჩერო; ხ. ლოსანტოს ომარი (ყველა ესპანეთი)

უეფას დელეგატი: ჟ. ანტენენი (შვეიცარია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამუკა კვანტალიანი**

ვითომ გაიმარჯვა გუშინ „ლოკომოტივმა"? კი, ეროვნული სტადიონის ტაბლოზე მატჩის შემდეგ 1:0 ეწერა ქართველთა სასარგებლოდ, მაგრამ ვაი, ასეთ მოგებას. ის, რაც გუშინ „ეროვნულზე" იხილა გულშემატკივარმა, ფეხბურთი არ იყო. ვერც ანტიფეხბურთს უწოდებ კაცი. ეს იყო საცოდაობა, რომლის მსგავსი ბოლო დროს საკმაოდ შემოეჩვია ქართულ ფეხბურთს.

გუნდი თუ ეთქმოდა ქართველთა გუშინდელ მეტოქეს?! ჩრდილოირლანდიელები ნახევრად პროფესიონალებიც არ არიან. მსგავსი გუნდის გამოყვანა, თავის დროზე, საქართველოს ნებისმიერ სოფელს შეეძლო.

სტუმრებს არც დაუმალავთ ის, რომ ფეხბურთს გასართობად თამაშობენ. მოთამაშეებიდან ზოგი მეთევზეა, ზოგიც შემდუღებელი, ნაწილი მზარეული და ასე შემდეგ. მწვრთნელი კი ინვალიდებზე ზრუნავს, ძირითად პროფესიად კეთილშობილური საქმე გაუხდია. შრომობენ თურმე პატიოსნად და თავის შესაქცევად კვირაში სამჯერ შეიკრიბებიან, ბურთს აგორებენ და ჩემპიონატშიც თამაშობენ უქმეებზე.

თქვენ ვინ ხართო, ჩვენებს რომ ჰკითხო, გაუკვირდებათ კიდეც, რა თქმა უნდა, პროფესიონალები. დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, თავი ვარსკვლავები ჰგონიათ, შეკრება არ მოჰკლებიათ და კიდევ სხვა სიკეთეც, მაგრამ რად გინდა, ფეხბურთის თამაში ვერ უსწავლიათ. მადა იცოცხლეთ, დიდია. თითოეულ მათგანს „მილანი" და „მანჩესტერი" თუ არა, „უდინეზე" და „ლიდსი" მაინც სურს, იქ გავაგრძელებთ კარიერასო.

ჩვენ ექვსი წლის წინანდელი „ლინფილდიც" გვახსოვს, მაგრამ მას გუნდი ეთქმოდა. აქაც გუნდი დახვდა მაშინ. ახლანდელზე დაბალი დონის სტუმარი საქართველოში ძნელად გასახსენებელია. ერთი იყო ალბათ „გრევენმახერი" და მეორე „ჰაფნარი". პირველს „დინამომ" მოუგო, მეორეს „ბათუმმა", თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ახლა ორივე დაჩაჩანაკებულია.

რითი ვინუგეშოთ თავი, ანაც ვანუგეშოთ ქომაგი?! იმით, რომ ჩვენში ომი იყო, ქვეყანა დაქუცმაცდა და უსაშველოდ გვიჭირს, ომალოში ბომბები ცვივა და მზე რომ დაბნელდა?! დალხენილი ცხოვრება არც სტუმრებს აქვთ, მათთან საათი ისე არ გაივლის, ბომბი არ აფეთქდეს და რამდენიმე, მეტი თუ არა, ადამიანის სიცოცხლე არ შეიწიროს. ისე, ცნობისთვის, მზე ჩრდილო ირლანდიაშიც დაბნელებულა თურმე.

სანუგეშო ის თუა, რომ ტაბლოზე 1:0 ეწერა, მაშინ წასულა ჩვენი, უფრო სწორად ფეხბურთის საქმე და ეგაა.

ისე, ცხელოდა დღეს უსაშველოდ, თქვა ერთმა უსაშველოდ ოპტიმისტმა ქართველმა ქომაგმა მატჩის შემდეგ. ნუ იტყვით, წვიმა და სიგრილე რომ ყოფილიყო, დაანგრევდნენ ჩვენები ყველაფერს, ხომ?!

არა, არ არის გამორიცხული, „ლოკომოტივი" შემდეგ წრეში გაძვრეს. გამორიცხული კი არა, სავსებით რეალურიც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს რომ გაგვახარებს, ისაა გულსატკენი.

ათასჯერ გვითქვამს, ფეხბურთი არაა მარტო მინდორზე ბურთის გორება. იგი გაცილებით შორს და სხვაგან იწყება. ფეხბურთი ათასგვარი საკითხების ერთობლიობაა, რომელიც უშუალოდ თამაშით გვირგვინდება. რა უნდა ნახო



ლევან ქებაძემ ერთადერთი, მაგრამ ჩინებული გოლი გაიტანა

და მოითხოვო, როცა თამაშის დღეს ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ აფიშაზე ვკითხულობთ, დღეს, „ეროვნულზე", 19 საათზე ფეხბურთია, თბილისის „ლოკომოტივი" ს.კ. „ერევანს" ეთამაშებაო. ვაჰ, მეზობლები გვწვევიანო, ჩაილაპარაკა მიკროავტობუსის მძღოლმა და თავისი გზა გააგრძელა. მისთვის „ლინფილდს" და „ერევანს" იმ წუთას ერთი ფასი ჰქონდა. ის კი არა, სომხების სტუმრობა უფრო გაუხარდა.

„ლინფილდს" თავი ვანებოთ, ჩრდილოირლანდიელებს თავიანთი საწუხარი აქვთ. ბედმა აშკარად უმუხთლათ — ავბედითმა წილისყრამ მაინცდამაინც საქართველოში ჩამოსვლა არგუნათ. შეხვედროდათ რომელიმე დასავლეთ, ევროპული გუნდი, ფულსაც ნაკლებს დახარჯავდნენ და უკეთაც გაერთობოდნენ. უეფას თასის გათამაშებასაც მშვიდად გამოეთიშებოდნენ.

ახლა რა დარჩათ? რა და „ლოკომოტივმა" შემდეგ წრეში გასვლის იმედი გაულვივა, რომელიც სტუმრებს შეიძლება ხელიდან გაუფრინდეთ. იმედის გაქრობა კი მომაკვდინებელია კაცისთვის.

ჩამოვიდნენ დიდი წვალებით სტუმრები, ჩვენს საამაყო სასტუმრო „შერატონში" დაბინავდნენ და ლამის ნახევარი გუნდი მოიწამლა.

წარმოიდგინეთ ჯანმრთელი „ლინფილდი" რაა და ავადმყოფი და მოწამლული რა იქნებოდა. აი, ასეთ გუნდს ერთი გოლის მეტი ვერ გაუტანა „ლოკომოტივმა".

უპრეტენზიო სტუმრებმა ისიც კი ვერ გაბედეს, კაცნაკლული მასპინძლებისთვის შეეტიათ ბოლო წუთებში. ცდილობდნენ, ეკეთებინათ ის, რაც იცოდნენ, რაც მწვრთნელმა დაავალათ და მინიმალური ანგარიშით რომ დამარცხდნენ, ძალიან გაუხარდათ.

„ლოკომოტივმა" რა გვაჩვენა გუშინ? სამწუხაროდ, ვერაფერი. მოშლილი სათამაშო დისციპლინა, სუსტი ფიზმომზადება და არანაირი ტაქტიკა. წუთითაც ვერ შეძლეს ტემპი გაეზარდათ. 90 წუთი ნელ, მოსაბეზრებელ ბურთაობაში გალიეს და სამი საგოლე მომენტი მაინც შექმნეს, აქედან ქებაძემ ერთი გამოიყენა.

ცოტა მეტი ძალა რომ ჰქონოდა მიხეილ ქობულაძეს, თავის ნაჯაფარს წყალში არ გადაყრიდა. გაგიგიათ, ყველაფერი უნაკლოდ შეასრულო, ნახევარი მინდორი გადაირბინო, გონივრული ქმედებებით მცველები ზურგსუკან მოიტოვო და მერე ბურთს ფეხი მიუცაცუნო?! სხვა რა გზა ჰქონდა, უკვე მუხლები ეკვეთებოდა, ძალა აღარ ჰქონდა შერჩენილი.

ბურთი ფეხებში ებლანდებოდათ მასპინძლებს, თუ მოახერხებდნენ და მოათვინიერებდნენ, მერე არ იცოდნენ, მისთვის რა მოეხერხებინათ, სად წაეღოთ. ინდივიდუალურად ცდილობდნენ და ფაფხურობდნენ, კოლექტიური თამაშის ნატამალიც არ ყოფილა. ის სამი მომენტიც, ზემოთ რომ ვახსენეთ, ინდივიდუალური გარჯის შედეგი უფრო იყო.

ეშინიათ, ჩვენი ბიჭები გამოუცდელები არიანო, უთქვამს ვილაცას. გოგიჩაიშვილი და ჩიხრაძე თუ გამოუცდელები არიან, მაშინ არ ყოფილა საშველი. ბალაშვილი ეროვნული ნაკრების წევრიც იყო, ჩომახიძე, შავგულიძე და ქობულაძეც ხომ ნაზიარები არიან ევროტურნირებს. მაშ ვინღა დარჩა გამოუცდელი?! სხვისი არ ვიცი და გოგიჩაიშვილს, ჩიხრაძეს და ბალაშვილს ლიპიანი ლინფილდელები ვერ შეაშინებდნენ.

სუსტი იყო თავდასხმა. ქებაძემ გოლი კი გაიტანა, მაგრამ უსაშველოდ დიდხანს იჭერდა ბურთს, წუნიც ბევრი ჰქონდა და სტუმრები ხშირად ახერხებდნენ მის გაუვნებლებას.

გოგიჩაიშვილი ფორვარდი არ არის. ნახევარდაცვასაც მოაკლდა და თავდასხმაშიც ვერ იხეირა. სისწრაფედაკარგული მოგვეჩვენა გუშინ კახა.

ნახევარდაცვა ფაქტობრივად არ იყო. თავდამსხმელები მოედნის ცენტრამდე ამოდიოდნენ ბურთის მისაღებად და იქიდან ცდილობდნენ შეტევების დაწყებას. დანარჩენ შემთხვევაში მცველები მაღალი გრძელი გადაცემებით ცდილობდნენ ფორვარდების ხელსაყრელ ადგილებზე გაყვანას, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

დაცვაზე რა ვთქვათ. მეტოქემ მხოლოდ რამდენჯერმე ჩაჰკიდა ჩვენს საჯარიმოში, სხვა მხრივ არც უცდიათ, შეეწუხებინათ ჩვენი მცველები. ისინი ფაქტობრივად არ და ვერ გვიტევდნენ.

დავით ჯანელიძის ასაკისა და გამოცდილების მეკარემ კი უნდა იცოდეს, რომ მეტოქისთვის მუჯლუგუნის კვრა წითელი ბარათით ისჯება. დათომ კინაღამ დაღუპა გუნდი, ფაქტობრივად გაწირა. არადა, იმ მომენტში მომხდური რომ შეეჯახა, დამნაშავე თავად იყო. გამოსულიყო ლაღად, აწეული მუხლით, ჯიქურ და ვნახავდით, როგორ მიეკარებოდა ლინფილდელი.

ისე, ჩვენი მწვრთნელებისაც გამკვირვებია. ასეთი ინცინდენტი მოხდა და რაღას ელოდნენ. არავის უთქვამს სათადარიგო მეკარისთვის, ადექი, სასწრაფოდ გახურდიო. რა დიდი მიხვედრა და გარჩევა იმ მომენტს უნდოდა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ არბიტრი მეკარეს გაგვიგდებდა. ასლანაძე თამაშში გაუხურებელ-მოუმზადებელი ჩაერთო და ათი წუთის შემდეგ თუ გაერკვა, მინდორზე რაც ხდებოდა. არ იყო გამორიცხული, გოლიც გაეშვა და ეს არც იქნებოდა მისი ბრალი.

ორი კვირა ცოტა არ არის სწორი დასკვნების გამოსატანათ. რა თქმა უნდა, ასეთი რამ თუ შეგვიძლია.

### მატჩის სტენოგრამა

11 წუთი. ჩომახიძის პასით ქებაძეს შეეძლო, რობინსონის პირისპირ დარჩენილიყო, მაგრამ კარისკენ დაძრულ ლევანს ბურთი ზურგზე მოხვდა.

14. ქებაძემ ბეილის ბურთი აართვა, საჯარიმოში ოდნავ შესული გოგიჩაიშვილის მისამართით გაგზავნა, მაგრამ „ლინფილდის" მეკარემ კარი დატოვა და ხიფათი თავიდან აიცილა.

17. ჩრდილოირლანდიელი გალაგანის დარტყმული ერთობ არაზუსტი გამოდგა.

23. კახა გოგიჩაიშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და ბურთი ჩომახიძეს გადააწოდა, შოთამ კი საჯარიმოში შევარდნილი ქებაძე მოძებნა, ლევანმაც ერთბაშად სამ მეურვეს დაახვია თავბრუ, მათ შორის გაძვრა და მახვილი კუთხიდან მეკარეს აულებელი დაურტყა — 1:0.

27. ბალაშვილმა საკუთარი ნახევრიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან ჩაჰკიდა. ჩრდილოირლანიელ მცველს სურდა, ბურთი თავით მეკარესთვის გადაეწოდებინა, მაგრამ ერთი ვერ გაითვალისწინა — რობინსონს კარი დაეტოვებინა და ბურთიც თავს ზემოთ გადასცდა. ამ დროს საჯარიმოში ქებაძე შევარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზანი ვერ გაისწორა — დაუცველ კარში მახვილი კუთხიდან ვერ გაიტანა.

33. ამჯერად უკვე მცველი მორი შეცდა, მეკარეს მიაწოდა ბურთი, მაგრამ კვლავ ქებაძემ მოიგდო იგი და ნამსვე გოგიჩაიშვილს გადააწოდა, კახას კი ბეილი ჩაუვარდა ფეხებში თავგანწირვით და კარში დარტყმა არ აცალა.

52. ქობულაძემ ჩინებულად ითამაშა. მოედნის ცენტრში ერთბაშად ოთხ ლინფილდელს აუბნია თავგზა, და მეკარესთან პირისპირაც აღმოჩნდა, თუმცა სუსტად დაარტყა და რობინსონმაც ივარგა.

53. ლევან ქებაძე შეიჭრა მარცხნიდან საჯარიმოში და წაიქცა, ესპანელმა არბიტრმა იტურალდე გონსალესმა იგი სიმულაციისთვის გააფრთხილა.

55. ქობულაძემ ბურთი გოგიჩაიშვილს გადააწოდა, საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა კახამ კი იგი კარის გასწვრივ ჩაჰკიდა, შავგულიძემ ბურთს ვარდნაში ვერ მიუსწრო.

66. შოთა ჩომახიძემ რამდენიმე ლინფილდელს ჩაუდრიბლინგა და ბოლოს დაარტყა, მაგრამ სუსტად, მეკარე ადვილად დაეუფლა.

74. სახიფათო ჯარიმა ლევან მიქაძემ ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ საკმაოდ არაზუსტად.

81. მიქაძემ მოულოდნელად შორიდან უძლიერესი დარტყმით მოსინჯა მეკარის სიფხიზლე, მაგრამ ბურთი კარს ზემოდან გადასცდა.

88. გალაგანმა კარიდან წინ გამოსული დავით ასლანაძე შენიშნა და დარტყმაც არ დააყოვნა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

ბაჩუკი კუთილაძის ფოტო



ერთადერთი გოლის ერთ-ერთი თანაავტორი კახი გოგიჩაიშვილი

# გაგონილა?!

გუშინ გაუწყეთ, რომ „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად ოთარ კორღალიძე დაინიშნა. — დაწვრილებით შემდეგ ვისაუბროთ. რამდენიმე საათია, რაც „დინამოს“ დირექტორატმა კლუბის მთავარ მწვრთნელად დამნიშნა, „თბილისს“ კი ნესტორ მუმლაძე ჩაიბარებს — განუცხადა გუშინწინ ღამით „სარბიელს“ ოთარ კორღალიძემ.

გუშინ კი გაირკვა, რომ „დინამოს“ დირექტორატს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, არც კორღალიძე დანიშნულა კლუბის მთავარ მწვრთნელად და შესაბამისად ნესტორ მუმლაძესაც არ ჩაუბარებია „თბილისი“ გასაწვრთნელად. რა მოხდა? დიდი გაუგებრობაა. გნებავთ, ყოველივეს ბოროტი ხუმრობა დაარქვით. ფაქტია, მავანმა, კორღალიძეს „კლუბის დირექტორატის საგანგებო გადაწყვეტილების“ შესახებ ამცნო. სხვათა შორის, გუშინ დილით ბატონი ოთარი მილოცვებსაც იღებდა ნაცნობ-მეგობრებისგან. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამაოდ. კორღალიძის მდგომარეობა ჩვენთვის ადვილი გასაგებია. „თბილისის“ მთავარ მწვრთნელს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის. კაცი დიდ შეცდომაში შეიყვანეს და ამიტომ გუშინ საღამოს დიდად არ ჩავძიებივართ.

— მოხდა დიდი გაუგებრობა, ამის შესახებ სჯობს „დინამოს“ დირექტორატს დაეკითხოთ — კორღალიძეს ხმაზე ეტყობოდა, რომ მომხდარს დიდად განიცდიდა.

ბუნებრივია, „დინამოს“ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ რომან შოთაძესაც დავუკავშირდით.

— „დინამოს“ დირექტორატს გუშინ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, ჩემთვის მოულოდნელი იყო იმის გაგება, რომ კლუბის მთავარ მწვრთნელად ოთარ კორღალიძე დაინიშნა.

**— კორღალიძემ ამის შესახებ თავად განაცხადა.**

— ოთარი შეცდომაში შეიყვანეს და მისი დამშვიდება დღეს თავად მომიწია. დარწმუნებული ვარ, „დინამოს“ დირექტორატის არც ერთ წევრს არ უსაუბრია კორღალიძესთან ამასთან დაკავშირებით.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ შეიყვანა კორღალიძე შეცდომაში?**

— წარმოდგენა არ მაქვს. ისე, დეტალებში ბოლომდე არ ვარ გარკვეული.

**— ესე იგი „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას კვლავ გია გეგუჩაძე ასრულებს?**

— დიახ. ასე იქნება მანამ, სანამ კლუბის დირექტორატი გადაწყვეტილებას მიიღებს.

**— როდის მოხდება ეს?**

— რამდენიმე დღეში. „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ორშაბათს ან სამშაბათს დასახელდება.

**— კანდიდატურა, ან კანდიდატურები თუ გყავთ შერჩეული?**

— არის რამდენიმე კანდიდატურა.

**— მათ შორის ოთარ კორღალიძეც?**

— დირექტორატის სხდომამდე კანდიდატურების დასახელებისგან თავს შევიკავებ, ისე რომ, იცოდეთ, მე ჩემი კანდიდატურაც მყავს მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

**— იქნებ მისი ვინაობა გაგვიმხილოთ?**

— ჯობს, სხდომის შედეგებს დაველოდოთ.

*ერთი სიტყვით, ასეა. ბოსკამპის შემცვლელი რამდენიმე დღეში გაირკვევა. „დინამოს“ კი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში „ბათუმის“ წინააღმდეგ გია გეგუჩაძე გაუძღვება. შემდეგ კი ორშაბათიც მოვა.*

პაატა ქვანტალიანი

## მატჩის შემდეგ

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ გასახდელიდან გამოსულ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს სახეზე უკმაყოფილება ეტყობოდათ.

ესპანელი მსაჯის მიერ 79-ე წუთზე განზრახ უხეშობისთვის გაძევებული „ლოკომოტივის“ მეკარე *დავით ჯანელიძე* ჩადენილ საქციელს გაუმართლებლად მიიჩნევდა: — თავადაც ნახეთ, გამოსვლაზე ბურთს რომ დავეუფლე, თავდამხსმელი აშკარად მეუხეშა, მაგრამ ჩემს საქციელს გამართლება მაინც არ აქვს, თავი უნდა შემეკავებინა. სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ვთვლი, რომ შედეგი ალოგიკურია, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. ფაქტობრივად, „ლინფილდს“ ჩვენს კართან მომენტი რაა, ის არ შეუქმნია. ჩვენთვის, ახალდაკომპლექტებული გუნდისთვის, პირველი ოფიციალური თამაში იყო და ცოტა ვღელავდით კიდეც, თან შეთამაშებაც გვაკლია. ვფიქრობ, საპასუხო მატჩში არ უნდა გაგვიჭირდეს „ლინფილდის“ ბარიერის დაძლევა, მანამდე ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი გვაქვს და უკეთაც მოვემზადებით.

რკინიგზელთა კაპიტანი *პაატა ბარნოვი* გუნდის საბოლოო წარმატებაში დარწმუნებულია: კმაყოფილი ვარ და მეორე მატჩსაც იმედიანად ველი. დიდი შანსია, იქაც მოვიგოთ. შეიძლებოდა დიდი ანგარიშითაც გაგვემარჯვა. ვთვლი, რომ მეკარის გაძევებამ არ დაგვაბნია, უფრო შევიკარით და მეტოქემ ათსაც ვერაფერი დაგვაკლო.

*შოთა ჩომახიძეც* იღბალს უჩიოდა — რა უნდა ვთქვა, არ გაგვიმართლა. გოლები უნდა გაგვეტანა. ალბათ გავივლით „ლინფილდს“, ვნახოთ...

ერთადერთი გოლის გამტანი *ლევან ქებაძეც* უკმაყოფილო იყო, მეორე ბურთიც უნდა გამეტანაო: — ვნერვიულობდი, ის მომენტი რომ არ გამეფუჭებინა, ალბათ „ლინფილდის“ კარს ამოვავსებდით. მეორე ტაიმში დავიღალე, ამას ისიც დაემატა, რომ ბოლოს ათნი დავრჩით და უკანდახევამ მომიწია. შანსებზე რა უნდა ვთქვა, აქ მოვიგეთ და იქაც დიდი ბრძოლით უნდა გავიდეთ შემდეგ ეტაპზე.

მცველის, *გიორგი ბალაშვილის* თქმით, მეკარის გაძევებამ გუნდზე ფსიქოლოგიურად კი იმოქმედა, მაგრამ მეორე მეკარის, დავით ასლანაძისაც ეიმედებოდათ: საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, თქვენც შეამჩნევდით, სტუმრებს კარში საერთოდ არ დაურტყამთ, მგონი, უპრობლემოდ გავალთ შემდეგ ეტაპზე, მეორე თამაშს გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, ამის თქმის საფუძველს გუნდის ფიზიკურად მზადყოფნა მაძლევს. საპასუხო შეხვედრის პროგნოზისგან თავს შევიკავებ, ფეხბურთია, ბურთი მრგვალია, თუმცა ერთი მწამს, „ლინფილდს“ აუცილებლად გავივლით.

გიორგი ვაშაკიძე

ბაჩუკი კუთილაძის ფოტო



შოთა ჩომახიძე (ბურთით) დავით ჯანელიძის გაძევებამ „შეიწირა“

# თბილისიდან ლიუბლიანაში



სრეჩკო კატანეცი



იოჰან ბოსკამპი

# იოჰან ბოსკამპი სლოვენიას და კატანეცს დაზვერავს

18 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებია. ალბათ იცით, ეს თარიღი უეფას გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარმა საომარმა კონფლიქტებმა ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო აიძულა, გადადებული მატჩები ამ დღეისთვის დაენიშნა.

ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მატჩი — სლოვენია-ალბანეთიც 18 აგვისტოს ჩატარდება.

გუშინ კი სლოვენიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ალბანელებთან სათამაშოდ მოემზადებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ კატანეცის რჩეულთა შორის 15 ლეგიონერია, დანარჩენი სამი — მარკო სიმეუნოვიჩი, მარინკო გალიჩი და ამირ კარიჩი სლოვენიის ჩემპიონის, მარიბორის „ბრანიკის“ მოთამაშეები არიან.

სლოვენიის ეროვნული ნაკრების სრული სია ასეთია:

*მეკარეები: მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);*

*მცველები: სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მარინკო გალიჩი (მარიბორი), ალექსანდერ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), დარკო მილანიჩი (შტურმი, ავსტრია), ჟელიკო მილინოვიჩი (ლინცერი, ავსტრია);*

*ნახევარმცველები: მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ალეს ჩეპი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), რუდი ისტენიჩი (ფორტუნა, დიუსელდორფი, გერმანია), ამირ კარიჩი (მარიბორი), მირან პავლინი (ფრაიბურგი, გერმანია), ტონი ნოვაკი (ლე ავრი, საფრანგეთი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);*

*თავდამსხმელები: მილან ოსტერცი (ერკულესი, ესპანეთი), მლადენ რუდონია (სენტ ტრუიდენი, ბელგია), საშო უდოვიჩი (ლინცერი, ავსტრია);*

კატანეცის ნაკრებს 18 აგვისტოს ლიუბლიანაში თბილისის „დინამოს“ ყოფილი, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპიც დაზვერავს. მიზეზი გასაგებია — უახლოესი მატჩი ქართველებს ხომ სწორედ სლოვენიელებთან გვაქვს.

ასე რომ, 4 სექტემბერს ლიუბლიანაში საქართველოს ნაკრები სლოვენიელებს ბოსკამპისეული კონცეფციით დაუპირისპირდება.

გიორგი ვაშაკიძე

# სრული სვლით ლიგისკენ

გუშინ შუადღისას საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მცველს, კახა კალაძეს დავუკავშირდი. მინდოდა, დანიურ „ოლბორგთან" სტუმრად ნათამაშებ მატჩზე მეკითხა. ახლა სავარჯიშოდ გავდივართ და თუ შეგიძლიათ, 30-40 წუთის შემდეგ გადმომირეკეთო — თავაზიანად მიპასუხა.

მართლაც უცნაური კაცია ვალერი ლობანოვსკი. რთული შეხვედრისგან დაღლილ შეგირდებს მეორე დღესვე უხმობს ხოლმე სავარჯიშოდ. ბიჭებსაც ასე უფრო უიოლდებათ დაკარგული ენერგიის აღდგენა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ქართველი ფეხბურთელებივით როდი წუწუნებენ, მატჩი მერე მაინც დაგვასვენეთო...

კიევის „დინამომ" კვლავ სოლიდური ნაბიჯი გადადგა. „ოლბორგთან" 2:1 გამარჯვებით უკრაინის ჩემპიონებმა საპასუხო მატჩამდე თითქმის გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა. კახა კალაძე გუნდის შეუცვლელი წევრია, გუნდისა, რომელმაც შარშან ევროპის საუკეთესო კლუბების ოთხეულში მოხვედრა მოახერხა...

...50 წუთში კვლავ შევეხმიანე კახას. ვიღაცამ რუსულად მიპასუხა — კახა ვარჯიშობს და მერე გადმორეკეთო. მესამე ცდამ გაჭრა. კალაძემ აქეთ მითხრა, ალბათ, დანიური შეხვედრის ამბები გაინტერესებთო. ჰო, მაგრამ ასეთი რა აღდგენითი ვარჯიში იყო, ამდენ ხანს რომ გასტანამეთქი, ვკითხე:

— ეგ ლობანოვსკის მეთოდია. ათასგვარ რაღაცას გვაკეთებინებს.

**— „ოლბორგთან" ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

— მართალი ხართ. პირველ ნახევარში კარგად ვმოქმედებდით და მეტოქეს გასაქანი არ მივეცით. აი, მეორეში კი მოვისუსტეთ. ზედმეტმა თვითდაჯერებამ გვიმტყუნა. რაღაცეების გამოგონება დავიწყეთ. დანიელებს ის ბურთი თითქმის ძალით გავატანინეთ. საოცრად მოშვებულები ვიყავით.

**— პირველ ტაიმში მოედნიდან საკაცით გაგიყვანეს. ასეთი რა მოხდა?**

— მეტოქემ კოჭში ძლიერად მომარტყა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

**— დანიელები ხისტად თამაშობდნენ.**

— ძალიან. თანაც, ერთობ ტექნიკურად უხეშობდნენ. ყველაფერი კარგად ჰქონდათ გათვლილი.

**— მსაჯობაზე რას გვეტყვით?**

— „ჟალგირისთან" შეხვედრისგან განსხვავებით, ნორმალური მსაჯობა იყო. საწუწუნო არაფერი გვაქვს.

**— საბოლოო შედეგი კმაყოფილი იქნებით?**

— რა თქმა უნდა. ეს მწვრთნელებმაც აღნიშნეს. კარგი შანსი გაგვიჩნდა. თუ საპასუხო მატჩში რაიმე სასწაული არ მოხდა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში უეჭველად მოვხვდებით. თუმცა კიევში სერიოზული ბრძოლა მოგველის. წინასწარ დამშვიდების უფლება არ გვაქვს.

**— უკრაინულ პრესაში ამ ბოლოს რებროვის იტალიაში შესაძლო გადაბარგებაზე წერენ.**

— ეს გამორიცხულია. „დინამო" რებროვს ამ სეზონში ვერ შეელევა, ისევე, როგორც დანარჩენ ფეხბურთელებს.

**ხვიჩა სანიკიძე**



კახა კალაძე (№2) ჩემპიონთა ლიგას გაუშინაურდა...

# სამტრედიაში ფეხბურთი პრ[illegible]

სამტრედიის ცენტრალური სტადიონი დღემდე ქალაქის მუნიციპალიტეტს ექვემდებარება და „იბერია" იქ იჯარით თამაშობდა. ახლა კი, როგორც ჩანს, მუნიციპალიტეტმა იჯარით გაცემაზე უარი თქვა და დარჩა გუნდი უსტადიონოდ.

— არ გაგიკვირდეთ, რომ ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი, 14 აგვისტოს, „მერანთან" ეროვნულ სტადიონზე გავმართოთ — გვითხრა გუშინ „იბერიის" პრეზიდენტმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა.

*— ეგ როგორ?*

— როგორ და ჩვეულებრივ, ქალაქის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, სტადიონზე ვერ ითამაშებთო, ვერ გამიგია, ეს გუნდი მარტო ჩემი საკუთრება ხომ არაა, ნუთუ თავად არ აინტერესებთ...

*— თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ რას აპირებთ?*

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, არაა გამორიცხული, როგორც გითხარით, პირველი ტურის მატჩი „ეროვნულზე" ვითამაშოთ. ფაქტი კი ესაა, „იბერია" უსტადიონოდ დარჩა.

ჩვენი მხრიდან ერთს დავამატებთ, ნუთუ, სამტრედიაში მართლა არ აინტერესებთ ფეხბურთი? როგორც ჩანს, არა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *გია გეგუჩაძე* | ა. მუჟირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია, ბათიაშვილი (თბილისი), ლ. მიქაძე, გოგიჩაიშვილი, ქებაძე, შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), ჭიჭველიშვილი (ალანია, რუსეთი), მ. მაჭავარიანი, კიკნაძე (?) | ს. გოგაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დონდტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ქრევენ (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოგარდენ (ჰოლანდია) 1:0, რაპიდ (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტარ ვეიგი (ჰოლანდია) 2:1, კილმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი (სიონი), დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ასლანაძე, (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, (ლარნაკალი), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, ლ. მიქაძე, შ. ჩომახიძე (დინამო), ივარდავა (მეგრი), ლ. ჩაჩუა (აკადემია), განეევი (გურია) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, ბათუმი 3:1, კოლხეთი 2:1, 2:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულეჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე, ვერემჩუკი, ლლონტი (?) | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჟირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3, კოლხეთი 4:1, 0:1, 3:0 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი), ი. კაპანაძე (სიონი), ლამბაშიძე (?) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი), დილმელაშვილი (სამსუნსპორი, თურქეთი), ე. სავკაია, რ. გოცირიძე (თბილისი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0, იბერია 3:1, თსუ 6:4, 1:2 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ჩიქოვანი (თამაში მიატოვა) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია (არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1, აქშაბადი (თურქეთი) 1:0, ტრაბზონსპორი-2 (თურქეთი) 1:1, გირესუნსპორი (თურქეთი) 1:4, თბილისი 3:9, 2:2 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია, გლუნჩაძე (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია (სამგურალი-2), ბერაძე (ჩერნომორეცი, რუსეთი), დ. ქელიძე (მერანი), კოხრეიძე (არსენალი-2) | ტორპედო 0:3, ინტერი 4:1, მეტალურგი 5:0, დინამო (გაგრა) 3:0, დინამო (ქუთაისი) 9:0 |
| **სიონი** *ხპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (თსუ), კ. ნიკლაური, (იბერია), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე (?) | დ. გოდერძიშვილი ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), მ. მინდიაშვილი (დილა), ვოლკოვი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), სიდამონიძე (გორდა), ი. კაპანაძე (ვიტ ჯორჯია) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ე. სავკაია, რ. გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) | ბათიაშვილი, კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ლ. ბერიძე (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი), ა. ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), ბედიაშვილი (გორდა) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1, გორდა 4:1, თბილისი (მოყვარულები) 2:1, არსენალი 9:3, 2:2 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია, ასათიანი (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლოყრნი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონ, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ბეერსხოტი (ბელგია) 2:9 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), კალანდაძე, ჩადუნელი (?) | რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია, ლეჟავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია (გურია), მგელაძე (მერცხალი), ქვაჩახია (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, 3:1, ლოკომოტივი 1:2, 0:2, ბათუმი 1:4, 1:0, 0:3 |
| **მერანი** *თემურ ნხაიძე* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (თბილისი), დ. ქელიძე (სამგურალი), გ. კვეტენაძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნაკალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ქველაძე (იბერია), ქობესაშვილი (თორი), კოშკაძე (21-ე საუკუნე) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, თბილისი (მოყვარულები) 2:1, 0:0 3:8:9, გორდა 1:2, დილა 0:3 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | სგიგაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე (მერანი), ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე (ფაზისი), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური (სიონი) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3, ვიტ ჯორჯია 1:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | მარეხაშვილი (თამაში მიატოვა), მ. მინდიაშვილი (სიონი), რ. ახალკაცი (ჩერნომორე, ვარნა, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1, 3:0, იბერია 4:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ბედიაშვილი (თბილისი), რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), სიდამონიძე (სიონი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნაკალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1, შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2, თბილისი 1:4, მერანი 2:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), კ. ალანია, მერაბიშვილი (ხობი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | გუგუნავა (სიონი), ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1, ჭაბუკიანი 3:1, ვიტ ჯორჯია 4:6, 2:1 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | | ბაბუაძე (პოდილია, ხმელნიცკი, უკრაინა), ზ. კვეკვესკირი (გურია), თორია (მერცხალი), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კ. ალანია, მერაბიშვილი (თსუ) | ლაზიკა 2:0, მეგრი 2:4, 2:1, 3:1, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# პირველად იყო ზეიმი

**ასტონ ვილა 3:0 ევერტონი**
1:0 ჯოაკიმი (9), 2:0 დაბლინი (57), 3:0 ტეილორი (85)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბოატენგი (შენდრი 58), ტეილორი, დაბლინი (მერსონი 62), ტომპსონი (სტოუნი 68), ჯოაკიმი, დილენი, კალდერვუდი
ევერტონი: ჟერარდი, ბოლი, გაფი, ანსუორსი, კოლინზი, ბარმბი, კემპბელი, პაიჩისონი, ჯემილი (კემბრიჯი 73), უეირი, უორდი (ჯეფერსი 73)
გაფრთხილება: რაიტი, ეჰიოგუ, კოლინზი
გაძევება: კოლინზი (50)
მსაჯი: გ. ბარბერი

**ლესტერი 1:0 ქოვენთრი**
1:0 იზეტი (24პ)
ლესტერი: ფლაუერსი, სინკლერი, ტაგარტი (გაილჩრისტი 67), იზეტი, ლენონი, გაპი, სევიჯი, ელიოტი, მარშალი (კემპბელი 64), იმპი, კოტი
ქოვენთრი: პედმანი, ედვორტი, ბაროუზი, უილიამსი, შოუ, ტელფერი, პაჯი, ჩიპო, ფროგატი (ალოიზი 76), მაკალისტერი, ვილანი
გაფრთხილება: ლენონი, მარშალი, ჩიპო, ფროგატი
გაძევება: ბაროუზი (69)
მსაჯი: ნ. ბერი

**მანჩესტერი 4:0 შეფილდ უენ.**
1:0 სქოულზი (9), 2:0 იორკი (35), 3:0 კოული (54), 4:0 სოლსკიაერი (85)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, ნევილი, ირვინი, ბერგი, სტამი, ბექემი (ბათი 56), სქოულზი, კინი, კოული, იორკი (შერინგემი 46), გიგზი (სოლსკიაერი 56)
შეფილდი: სრნიჩეკი, ადერტონი, პინჩკლიფი, ტომი, უოქერი, სონერი, სიბონი, რუდი, ალექსანდერსონი, ნიუსომი, დე ბილდე
გაფრთხილება: სქოულზი, სტამი, სონერი
მსაჯი: მ. რედი

**საუთჰემპტონი 0:3 ლიდსი**
0:1, 0:2, 0:3 ბრიჯიზი (11, 51, 72)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ბენალი, მარდსენი (ოკლი 45), რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ლე ტისიე, პიუზი, ოსტენსტადი, პახარსი, კაჩლოუ (რიპლი 66)
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, რადებე, ვუდგეიტი, ჰოპკინი, ბრიჯიზი, კიუელი, ბოიერი, მილსი, დაბერი, ბეტი
გაფრთხილება: ლე ტისიე, ბენალი, ოსტენსტადი, პიუზი, ბეტი, ბოიერი, მილსი
მსაჯი: ა. უილი



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — შეფილდი 4:0. პოლ სქოულზი უტევს მოწინააღმდეგის კარს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 | არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 3 | მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 | ლიდსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 5 | ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 | ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 7 | ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 | ბრედფორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 9 | ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | უიმბლდონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 11 | მიდლსბრო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 12 | ლესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 13 | სანდერლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 14 | საუთჰემპტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 15 | დერბი ქაუნთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 | ევერტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 17 | ქოვენთრი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 | უოტფორდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 | ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მეორე ტურში ისე ითამაშა, ევროპის საუკეთესო გუნდს რომ შეეფერება, ხოლო მისი რეაქტიული ფეხბურთის ფონზე დენი უილსონის „შეფილდ უენსდი“ ერთობ საბრალოდ გამოიყურებოდა.

ასეთი შთამბეჭდავი შოუს წინ „ოლდ ტრეფორდზე“ დიდი ზეიმი გაიმართა — გასული სეზონის ეიფორიიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსული გულშემატკივარი თავიანთ გმირებს ესალმებოდა. ცნობილი კომენტატორი კლაიდ ტილდესლი ჩვეული ვირტუოზობით ახსენებდა ხალხს იმ 32 წლიანი ევროდუმილის ბოლო წამებს, საოცარ გოლებს, რომლებიც მანჩესტერელებმა ფინალური შეხვედრის მიწურულს გაუტანეს მიუნხენის „ბაიერნს“.

„ინგლისის ჩემპიონები, ასოციაციის თასის მფლობელები და ევროპის ჩემპიონები — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ აღთქმულ მიწას მიაღწია“ — გაიძახოდა ტილდესლი და ხალხს ზეიმს ულამაზებდა. დაუკრეს ჰიმნი „ბარსელონა“, ხოლო რაიან გიგზს BBC-ს ჯილდო გადასცეს სეზონის ულამაზესი გოლის გატანისთვის — გეხსომებათ სოლო გარღვევა უელსელმა გასულ სეზონში, ასოციაციის თასის ნახევარფინალში რომ შეასრულა. გიგზის დაჯილდოვება დუაიტ იორკისამ შეცვალა — იგი ეგრეთწოდებული „კარლინგ ფეხბურთელი“ გახდა — ხოლო იორკისა ალექს ფერგიუსონისამ — სერ ალექსს „კარლინგ მწვრთნელობა“ უბოძეს.

მერე კი გახურდა ის მატჩი, რომლითაც დავიწყეთ „ოლდ ტერფორდულ“ ამბებზე საუბარი.

შეხვედრის არბიტრმა, ბირმინგემელმა მაიკ რედმა — ალბათ, ზეიმი ზღვარგადასული რომ არ გამხდარიყო — პირველ წუთზევე აღმართა ყვითელი ბარათი, ხოლო შემდეგ, თხუთმეტ წუთში კიდევ ორჯერ გაიმეორა იგივე. საერთოდ, იგი ამ საკითხში ინგლისის რეკორდსმენი გახლავთ. მისტერ რედის პირველი მსხვერპლი მატჩის პირველი გოლის ავტორი პოლ სქოულზი შეიქნა, რომელმაც შვედ მეტოქეს, ნიკლას ალექსანდერსონს ერთობ სახიფათოდ შეუტია ბურთის ასართმევად. გამოხდა ხუთი წუთი და შეფილდელმა დენი სინერმა ბურთის სადღაც გადაგდებისთვის იწვნია იგივე.

ორი გაფრთხილების მხილველმა გულშემატკივარმა გოლის მოთხოვნა დაიწყო და გმირებმაც სურვილი დაუყოვნებლივ შეუსრულეს — გიგზმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა ხოლო სქოულზმა ოსტატური დარტყმით გაგზავნა ბურთი პაველ სრნიჩეკის კარში.

მე-15 წუთზე მანჩესტერელთა ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა ყვითელი ბარათების რაოდენობა სამამდე გაზარდა — „ეინდჰოვენის“ დროინდელ თანაგუნდელს, ჟილ დე ბილდეს ზურგსუკნიდან დაესხა თავს. შემდეგ კი მეორე გოლი გავიდა, თუმცა მანამდე ზემოხსენებულმა ჩეხმა გოლკიპერმა, სრნიჩეკმა რამდენიმე ძნელად მოსაგერიებელ დარტყმას გაართვა თავი. მეორე გოლი აღწერად ღირს: კოულმა ძელს გაარტყა ბურთი, ასხლეტილს ბერგმა დაამატა, მაგრამ ამჯერად ხარიხა შეზანზარდა, მერე გიგზმა იყოჩაღა, პასი შეასრულა, ხოლო იორკმა თავური ტყვიასავით დაარტყა და ორ ტურში მეორე გოლი შეაგდო. მესამე და მეოთხე გოლების გატანა კი მანჩესტერელთავის სირთულეს აღარ წარმოადგენდა — კოულმა და სოლსკიაერმა ამოცანა უპრობლემოდ გადაწყვიტეს.

საუთჰემტონში ლიდსელმა მაიკლ ბრიჯიზმა განმარტა თუ რატომ გადაუხადა მისი ახალი გუნდის მწვრთნელმა, დევიდ ოლირიმ, „სანდერლენდს“ 5 მილიონი გირვანქა. ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელმა უკვე მე-11 წუთზე გამოამჟღავნა დიდებული ოსტატობა, ხოლო შემდეგ, შეხვედრის ბოლომდე კიდევ ორჯერ მიაღწია მიზანს.

აღსანიშნავია, რომ მატჩის დაწყებამდე ოლირის პატარ-პატარა ეჭვები ჰქონდა, რომელთა შორის მთავარი ჭაბუკი თავდამსხმელის, ალან სმიტის მუხლის ტრავმას გამოუწვევია. სმიტი პირველ ტურში, „დერბისთან“ თამაშის დროს დაშავდა და ვინაიდან კლუბმა ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკიც გაყიდა, შეტევაში ლიდსელებს შესაძლოა პრობლემები გასჩენოდათ, მაგრამ ბრიჯიზმა ყველა სირთულე მოაგვარა...

ლესტერში, „ფილბერტ სტრიტზე“ კი მასპინძლებმა ქოვენთრელებს დაუმტკიცეს, რომ მათ უიღბლო სტარტის მიზეზების ღრმა კვლევა ახლავე სჭირდებათ. შეხვედრის 24-ე წუთზე სტუმარმა მარკ ედვორტიმ მასპინძელი ნილ ლენონი წააქცია საკუთარ საჯარიმოში, რისთვისაც არბიტრმა პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი მაზი იზეტმა შეასრულა ზუსტად. აღსანიშნავია, რომ ახლა უკვე ორ მატჩში დამარცხებულ „ქოვენთრი სიტის“ თავდამსხმელი, დარენ ჰაკერბიც გამოაკლდა. იგი 4 მილიონ გირვანქად „ლიდს იუნაიტედში“ გადავიდა. ასე, რომ გორდონ სტრაჩანს წინ სერიოზული მუშაობა ელის.

„ვილა პარკზე“ „ასტონ ვილას“ „ევერტონის“ ძლევა არ გაჭირვებია. ჯულიან ჯოაკიმმა მე-9 წუთზევე გახსნა ანგარიში მერე კი მისმა თანაგუნდელებმა დაბლინმა და ტეილორმა თითოც მიაყოლეს.

სხვათაშორის, ჯოაკიმი გასულ სეზონში 16 გოლით „ვილას“ საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ და როგორც ჩანს წლეულსაც იგივეს შეეცდება, ყოველ შემთხვევაში ორ ტურში მას უკვე ორი გოლი აქვს გატანილი.

**მიხეილ სურგულაძე**

**ინგლისის** ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ლონდონის „ჩელსი“ სერია A-ს კლუბ „ვიჩენცას“ შეეხმიანა თავდამსხმელ გაბრიელე ამბროზეტის თაობაზე. იტალიური კლუბის გენერალური დირექტორის, რინალდო საგრამოლას თქმით, ინგლისელებმა მათ 2,5 მილიონი გირვანქა შესთავაზეს ამბროზეტის სანაცვლოდ. ინგლისური პრესის თქმით, „ჩელსის“ იტალიელ მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის ამბროზეტი კრის სატონის შემცვლელად შეუგულებია. „არისტოკრატებმა“ (ჩელსის მეტსახელია) სატონი 10 მილიონ გირვანქად შეიძინეს მეორე ინგლისურ კლუბ „ბლექბერნ როვერსიდან“, თუმცა ვიალი პრემიერლიგის პირველ ტურში სატონის თამაშით უკმაყოფილო დარჩენილა. იტალიური კლუბის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მოლაპარაკებები გაბრიელე ამბროზეტის თაობაზე იტალიაში ინგლისელთა ვიზიტის შემდეგ დაიწყება.

**პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ნაკრების მწვრთნელად შესაძლოა კოლუმბიელი ფრანსისკო მატურანა დაინიშნოს. მატურანა დღესდღეობით ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბის, სანტანდერის „რასინგის“ ტექნიკური დირექტორია. პარაგვაის ფეხბურთის მმართველ ორგანოს წარმომადგენელთა თქმით, ესპანურ კლუბთან ყველა საკითხი უახლოეს მომავალში მოგვარდება და მატურანაც მხოლოდ პარაგვაის ნაკრებს უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ მისი გაწვრთნილი კოლუმბიის ნაკრები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. რაც შეეხებათ პარაგვაელებს, მას შემდეგ, რაც გუნდი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ურუგვაისთან დამარცხდა, ნაკრების მწვრთნელი უგო ალმეიდა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. პარაგვაი „კოპა ამერიკას“ მასპინძელი გახლდათ.**

**ნორვეგიული** რადიოს ცნობით, პორტუგალიის ყველაზე ტიტულიანი კლუბი, ლისაბონის „ბენფიკა“ თანახმაა, ტრონჰეიმის „რუსენბორგს“ თავდამსხმელ სიგურდ რუშფელდტის სანაცვლოდ 24 მილიონი კრონა გადაუხადოს. თანხის გასტუმრების ბოლო ვადა დღევანდელი პირველი საათია ოსლოს დროით. თუ მანამდე ნორვეგიელებმა ფული ვერ მიიღეს, ტრანსფერი ჩაიშლება. „ოთხშაბათს ლისაბონელებთან ახალ შეთანხმებას მივაღწიეთ. თუ „ბენფიკა“ ფულს დროულად არ გადაიხდის, ადრინდელი ხელშეკრულება გაუქმდება და რუშფელდტი კვლავაც „რუსენბორგის“ ფეხბურთელად დარჩება“ — განაცხადა ტრონჰეიმელთა პრეს-ატაშე კნუტ სკოგლენდმა. სიგურდ რუშფელდტი „ბენფიკაში“ ივლისის დასაწყისში გადავიდა, მაგრამ ვინაიდან ლისაბონელებმა ნორვეგიელებს საჭირო თანხა ვერ მისცეს, ფეხბურთელი „რუსენბორგში“ დაბრუნდა. ტრონჰეიმელებმა განაცხადეს, რომ თუ თავდამსხმელის პორტუგალიაში ტრანსფერი არ შედგა, არაა გამორიცხული, რუშფელდტმა ესპანურ „რასინგს“, ანაც ბერძნულ „პანათინაიკოსს“ მიაშუროს.

ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის თასის გათამაშების მესამე წრის კენჭისყრა შედგა: ვერდერი — კაიზერსლაუტერნი, მაინცი (2 ბუნდესლიგა) — ჰამბურგი, ბოხუმი (2) — დუისბურგი, ტენის ბორუსია (2) — ჰერტა, კოტბუსი (2) — შალკე, კიკერსი (2) — დორტმუნდი, ხემნიცი (2) — ვოლფსბურგი, მანჰაიმი (2) — ლევერკუზენი, ფიურტი (2) — ჰანზა, ზანქტ პაული (2) — ულმი, ჰანოვერ 96 (2) — არმინია, კიოლნი (2) — აინტრახტი, მეპენი (მოყვარულები) — ბაიერნი, ბაბელსბერგი (მ) — ფრაიბურგი, ბრემენი (მ) — შტუტგარტი, ტრიერი (მ) — მიუნხენი. შეხვედრები 13 და 14 ოქტომბერს გაიმართება.**

**ესპანეთის** ჩემპიონი „ბარსელონა“ ამხანაგურ შეხვედრაში არგენტინის ყველაზე პოპულარულ კლუბ „ბოკა ხუნიორსთან“ დამარცხდა. არგენტინელებმა კატალონიელი მეტოქე 3:2 დაამარცხეს. „ბოკა ხუნიორსის“ სამი გოლი სამი სხვადასხვა ფეხბურთელის ანგარიშზეა — ანტონიო ბარიხომ, გილერმო ბაროს შელოტომ და მარტინ პალერმომ სამჯერ გაუტანეს ესპანელებს. თავის მხრივ ბარსელონელთაგან თავი ჰოლანდიელმა ბუდევინ ზენდენმა და პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუმ გამოიჩინეს.

**ნორვეგიელი მცველი კეტილ რეკდალი მძიმედ დაშავდა და მოსალოდნელია, რომ რამდენიმე კვირას ველარ ითამაშოს. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში კვიპროსის „ანორთოსისთან“ 2:0 მოგებულ მატჩში რეკდალმა მარცხენა ფეხი მოიტეხა. შეგახსენებთ, რომ რეკდალის კლუბი — ბერლინის „ჰერტა“ ევროტურნირებზე ოცწლიანი შესვენების შემდეგ მონაწილეობს.**

# გერმანია

# იმედიანი ბეკენბაუერი და მუხლმტკივანი იაშვილი

უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა და „დინამოს“ ნახევარდაცვის ბურჯმა სერგეი რებროვმა ანგარიში გახსნა. მალე მაქსიმ შაცკიხმა კიდევ ერთი გაიტანა და გამარჯვებული, ფაქტობრივად იქვე გაირკვა.

კიეველთა დარად, სტუმრად იმარჯვა ჩემპიონთა ლიგის 1997 წლის გამარჯვებულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“. გერმანელთათვის ჩეხური „ტეპლიცე“ უხერხული მეტოქე კი გამოდგა, მაგრამ მათ მაინც იმარჯვეს — კრისტიან ნერლინგერმა ფრედი ბობიჩის დარტყმულს დაამატა. კარგად ითამაშა დორტმუნდელთა მეკარე იენს ლემანმა, რომელმაც ჩეხებს ორი „მკვდარი“ ბურთი აუღო.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა გაინაღდა სტამბოლის „გალათასარაიმ“ — ვენის „რაპიდთან“ ავსტრიაში 3:0 მოგებული თამაში ყველაფერზე მეტყველებს.

ესპანურ „ვალენსიას“ „გალათასარაის“ შედეგის გამეორებამდე ერთი გოლი დააკლდა, თუმცა, ალბათ, არც სტუმრად 2:0 მოგებული მატჩი უნდა იყოს ურიგო. ჰაიფას „ჰაპოელმა“ მთელი შეხვედრა უკეთ ჩაატარა, თუმცა ექტორ რაულ კუპერის გუნდმა ცბიერებით აჯობა — ვალენსიელებმა ოთხი კონტრშეტევა განახორციელეს და აქედან ორი არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა და ხავიერ ფარინოსმა გოლიებით დაასრულეს.

უცნაური დებიუტი ჰქონდა ფლორიენციას „ფიორენტინას“ მცველ დანიელე ადანის — სერია B-ს კლუბ „ბრეშადან“ რამდენიმე დღის წინ შეძენილმა ფეხბურთელმა ახალი კლუბის შემადგენლობაში ნათამაშევ პირველივე მატჩში ორი გოლი გაიტანა, ოღონდ ერთი მეტოქის, ერთიც საკუთარ კარში.

მიუხედავად ადანის გოლებისა, „ფიორენტინამ“ მაინც მოიგო და ალბათ, არც ლიგაში მოხვედრა უნდა გაუჭირდეს. ის კი არა, ენრიკო კიეზას და რუი კოშტას ცოტა რომ გამართლებოდათ, ანგარიში გაცილებით დამანგრეველი იქნებოდა.

ერთადერთი, რამაც ფლორენციელებს ხასიათი გაუფუჭა, გაბრიელ ბატისტუტას გამოკლება იყო — „ფიორენტინას“ ქომაგების კერპმა უკვე მეხუთე წუთზე დატოვა მინდორი მუხლის ტრავმის გამო.

ამ ეტაპზე „ფიორენტინას“ გარდა კიდევ ერთი იტალიური კლუბი, უეფასა და იტალიის თასის მფლობელი „პარმა“ თამაშობდა, თუმცა პარმელებმა, ფლორენციელთაგან განსხვავებით, წააგეს — შოტლანდიური ფეხბურთის მეფე „გლაზგო რეინჯერსი“ ძლიერი აღმოჩნდა. საპასუხო შეხვედრაში პარმელების მცველი ფაბიო კანავარო დააკლდებათ — იგი პირველივე ტაიმში გააძევეს

დაბოლოს, ინგლისურ „ჩელსიზე“ ვთქვათ — ჯანლუკა ვიალის გუნდმა ახალდაწყებული სეზონის მეორე შეხვედრაც დიდი ანგარიშით მოიგო. თუ პრემიერლიგის პირველ ტურში ლონდონელებმა „სანდერლენდს“ სძლიეს 4:0, ამჯერად ლატვიური „სკონტო“ დაიბრიყვეს — ნიგერიელი სელესტინ ბაბაიაროს, ურუგვაელი გუსტავო პოიეტის და ინგლისელი კრის სატონის სამ გოლს რიგელებმა ვერაფრით უპასუხეს.

ირაკლი ილაშვილი

### ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I წრე
11 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

ჩელსი (ინგლისი) 3:0 სკონტო (ლატვია)
1:0 ბაბაიარო (76), 2:0 პოიეტი (77), 3:0 სატონი (84)
რაპიდი (ავსტრია) 0:3 გალათასარაი (თურქეთი)
0:1 უნსალი (34), 0:2 ფათიჰი (38), 0:3 ჰაჯი (90)
ფიორენტინა (იტალია) 3:1 ვიძევი (პოლონეთი)
1:0 ადანი (17), 2:0 კოისი (57), 2:1 ადანი (73ს.კ.), 3:1 რუი კოშტა (90)
ოლბორგი (დანია) 1:2 დინამო (უკრაინა)
0:1 რებროვი (13), 0:2 შაცკიხი (39), 1:2 სტრანდლი (55)
მოლდე (ნორვეგია) 0:0 მალიორკა (ესპანეთი)
კროაცია (ხორვატია) 0:0 მტკ (უნგრეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 პარმა (იტალია)
1:0 ვიდმარი (33), 2:0 რეინა (76)
ბრონდბიუ (დანია) 1:2 ბოავიშტა (პორტუგალია)
0:1 მარიო სილვა (25), 1:1 სმიტი (65), 1:2 მორეირა (73)
აეკ (საბერძნეთი) 0:0 აიკ (შვედეთი)
ჰერტა (გერმანია) 2:0 ანორთოსისი (კვიპროსი)
1:0 დაეი (2), 2:0 პრეეტცი (58)
ზიმბრუ (მოლდოვა) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
სპარტაკი (რუსეთი) 2:0 პარტიზანი (იუგოსლავია)
1:0 შირკო (39), 2:0 ტიხონოვი (73)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 0:2 ვალენსია (ესპანეთი)
0:1 კ. ლოპესი (68), 0:2 ფარინოსი (74)
შტურმი (ავსტრია) 2:1 სერვეტი (შვეიცარია)
1:0 ვასტიჩი (35), 1:1 ლონფატი (45), 2:1 მარტენსი (46)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 0:1 დორტმუნდი (გერმანია)
0:1 ნერლინგერი (66)

# იგივე მუხლი და ისევ ერთი თვე



არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ შესაძლოა აგვისტოს ბოლომდე ვეღარ ითამაშოს. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში „ბატიგოლი“ მძიმედ დაშავდა. ლოძის „ვიძევთან“ 3:1 მოგებულ შეხვედრის მეხუთე წუთი ბატისტუტასთვის საბედისწერო აღმოჩნდა — მან მუხლი დაიზიანა.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი წლეულს უკვე მეორედ დაშავდა და კვლავ მუხლმა შეაწუხა. თებერვალში ბატისტუტამ ტრავმის გამო თითქმის თვე გამოტოვა და ბევრის აზრით, „ფიორენტინამ“ იტალიის ჩემპიონატის მოგების შანსი ამიტომაც გაუშვა ხელიდან.

ფლორენციული კლუბის ექიმს, მარჩელო მანძუოლის სწამს, რომ ბატისტუტა იტალიის ჩემპიონატის დაწყებამდე გამოჯანმრთელდება.

— თებერვალშიც ზუსტად ეს მუხლი დაიშავა გაბრიელმა, მაგრამ მაშინ მყესებთან ერთად კუნთებიც ჰქონდა დაზიანებული, ახლა კი სიტუაცია გაცილებით მსუბუქია — განუცხადა მანძუოლიმ „კორიერე დელო სპორტს“. მანვე დასძინა, რომ გუნდის ექიმები ყველაფერს ილონებენ, რათა ფეხბურთელი იტალიის ჩემპიონატის დაწყებამდე განკურნონ.

კოტე ვაიტაძე

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სტეფანიას თანაგუნდელი კიდევ ერთი დარტყმული გახდა

## პატერსონი კობი ბრაინტს ემუქრება

დეტლეფ შრემფის გაშვებით „სიეტლ სუპერსონიქსს“ ფრთის პოზიციაზე ვაკანსია გაუჩნდა. ამბობენ, კლუბი ხვალ-ზეგ გაყიდის მსროლელ ჰერსი ჰოკინსს და სანაცვლოდ ძლიერ ფრთას შეიძენსო, მაგრამ ამას მხოლოდ ამბობენ... ჯერჯერობით კი „სიეტლმა“ მეტ-ნაკლებად შეავსო ვაკანსია: თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ყოფილი ფრთა რუბენ პატერსონი.

პატერსონი 24 წლისაა. სტუდენტობისას ცინცინატის უნივერსიტეტში თამაშობდა, ხოლო შარშანდელი დრაფტის მეორე წრეში (31-ე ნომრად) „ლეიკერსმა“ ამოირჩია. წინა სეზონში მან 24 მატჩი ითამაშა (ორჯერ ძირითად ხუთეულში იყო) და საშუალოდ 2,7 ქულა და 1,3 მოხსნა გააკეთა.

სეზონის ბოლოს პატერსონი თავისუფალი აგენტი გახდა და ახალი კლუბის ძებნა დაიწყო, რადგან „ლეიკერსში“ მისი ადგილი ნაღდად არ იყო. ფრთის პოზიციაზე სეზონი კობი ბრაიანტმა დაიწყო, შემდეგ კი გლენ რაისმა გააგრძელა. პირველი შემცვლელი რიკ ფოქსი იყო და მხოლოდ ამათ შემდეგ მოდიოდა პატერსონი.

რუბენის შეძენა თავიდან „ბოსტონ სელტიქსს“ მოუნდა, მაგრამ კალათბურთელმა თქვა, რომ კარიერის გაგრძელება დასავლეთის სანაპიროს რომელიმე გუნდში სურდა. ამისთვის იგი „სიეტლში“ მივიდა გასასინჯად და ბოსტონის საზაფხულო ლიგის თამაშებში მიიღო მონაწილეობა. იქ მან თავი გამოიჩინა, ვლადიმერ სტეფანიასთან ერთად გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მწვრთნელთა ყურადღებაც მიიქცია.

„საზაფხულო ლიგის თამაშებისას პატერსონმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ძლიერია დაცვაში და მისი აყვანა მართებულად მიმაჩნია“ — თქვა „სონიქსის“ მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა. ამ სიტყვებმა დააჩქარეს პატერსონის გასიეტლელება.

ამრიგად, „სიეტლში“ შარშანდელი დრაფტის ოთხი რჩეული მოგროვდა: ვლადიმერ სტეფანია, ჯელანი მაკკოი, რაშარდ ლუისი და რუბენ პატერსონი. გაირკვა, რომ „სუპერსონიქსს“ დიდი ხანია ეჭირა თვალი პატერსონზე, მეტიც, დრაფტში მისი აყვანაც სურდა, მაგრამ პირველი არჩევანის უფლება (სულ 27-ე) სტეფანიას დასაკუთრებისთვის გამოიყენა. „სონიქსს“ მეორე არჩევანი 32-ე ნომერზე ეკუთვნოდა, მაგრამ „ლეიკერსმა“ დაასწრო და ერთი ნომრით ადრე დაიტრია პატერსონი. თუმცა, ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს — „სიეტლს“ სასურველი მოთამაშე თავისთან ჰყავს.

მიუხედავად დიდი სიმპატიისა, საეჭვოა, ვესტფოლმა ძირითად ხუთეულში დააყენოს პატერსონი. უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ „სონიქსი“ დალასელ თავისუფალ აგენტს სედრიკ სებალოსს ეკურკურება და მოთამაშეც უკვე სიეტლში გადასასვლელადაა გამზადებული. სებალოსი კი ამპლუით ფრთაა, თანაც, პატერსონზე გაცილებით ძლიერი...

პატერსონს „ლეიკერსში“ მეტსახელად „კობის შემჩერებელს“ ეძახდნენ. თურმე იმიტომ, რომ ვარჯიშებზე იგი მჭიდროდ მეურვებოდა კობი ბრაიანტს და გასაქანს არ აძლევდა. ახლა პატერსონი მოუთმენლად ელის 30 ნოემბერს, ამ დღეს „სიეტლი“ „ლეიკერსს“ ხვდება და რუბენს შურისძიება სურს: „მსურს პირადად დავამარცხო ბრაიანტი. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავაგდებ მას. მისთვის სიკვდილი სანატრელი იქნება. არა, სხვანაირად არ გამიგოთ. კობი კარგი მოთამაშეა, მის გალახვას არ ვაპირებ, უბრალოდ სასტიკად გავუსწორდები“.

ამისთანა დარტყმულიღა აკლდა „სიეტლ სუპერსონიქსს“! შეგახსენებთ, ორიოდ დღის წინ ამ გუნდში ვერნონ მაქსველი, მეტსახელად „გიჟი მაქსი,“ გადავიდა.

## ევროპული ტრანსფერები

### თურქეთი

## ქუთლუაი, როგორც იქნა, გაქირავდა

დაადგა საშველი იბრაჰიმ ქუთლუაის, „ფენერბაჰჩეს“, „ეფესს“ და, მთელ თურქულ კალათბურთს. სამმხრივმა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და დღეს ქუთლუაი „ეფესთან“ კონტრაქტს გააფორმებს. საუბარია კალათბურთელის ერთწლიან განათხოვრებაზე, თორემ მის მფლობელად კვლავ „ფენერბაჰჩე“ დარჩება.

ახლა იბრაჰიმს და „ეფესს“ რამდენიმე წვრილმანის შეთანხმება მოუწევთ და მერე მათ ურთიერთობას ოფიციალური სახე მიეცემა.

საგულისხმოა, რომ „ეფესში“ ქუთლუაი ნაკლებს მიიღებს, ვიდრე „ფენერბაჰჩე“ სთავაზობდა. ახალ კლუბში იბრაჰიმის ხელფასი 750 ათასი დოლარი იქნება, რომელთაგან 500 ათასს „ეფესში“ მისვლისთანავე მიიღებს. „ფენერბაჰჩე“ კი ხელფასად წელიწადში მილიონ დოლარს აძლევდა და დამატებით პრემიებსაც ჰპირდებოდა. არც ამან გაჭრა: ქუთლუაის იმდენად უნდოდა „ფენერბაჰჩეს“ მიტოვება, რომ ამ დათმობაზეც წავიდა.

თავად კლუბებმაც მოილაპარაკეს ერთმანეთში. ქუთლუაის ქირად „ეფესი“ 900 ათას დოლარს გადაუხდის „ფენერბაჰჩეს“. რაც შეეხება ქუთლუაისთან დაკავშირებულ კომერციულ თუ სარეკლამო წინადადებებს, მისი განხილვა-განკარგვის ექსკლუზიური უფლება კვლავ „ფენერბაჰჩეს“ დარჩა.

### იტალია

## მონტეკატინიმ ბელარუსი აიყვანა

იტალიის უმაღლესი ლიგის კლუბმა „მონტეკატინიმ“ კონტრაქტი გაუფორმა ბელარუსის ნაკრების ფორვარდს ეგორ მეშჩერიაკოვს. 23 წლის და 202-სანტიმეტრიანი მეშჩერიაკოვი ამერიკაში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში თამაშობდა, ამ ზაფხულს კი უშედეგოდ ეცადა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე გუნდისთვის მოეწონებინა თავი.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

11 აგვისტო

*შარლოტ ჰორნეთსი:* აიყვანა უგუნდო ფორვარდი ედი რობინსონი.

*ვაშინგტონ ვიზარდსი:* ჯერ შეინარჩუნა, მერე კი „ორლანდოში“ გაყიდა უკანახაზელი ჯეფ მაკინისი

# ოსტინი ოთხი კაცი ღირებულა

„ორლანდო მეჯიქს“ შარშანდელი სასტარტო ხუთეულიდან ერთადერთი კაცი, გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი შერჩა. ეს ოთხშაბათს ღამე მოხდა, მაშინ, როცა კლუბმა 208-სანტიმეტრიანი ცენტრი აიზეკ ოსტინი „ვაშინგტონ ვიზარდსში“ გაუშვა, მის სანაცვლოდ კი ტერი დევისი, ბენ უოლესი, ტიმ ლეგლერი და ჯეფ მაკინისი მიიღო. ოსტინამდე „ორლანდო“ დატოვეს ჰორას გრანტმა („სიეტლში“ გადავიდა), ნიკ ანდერსონმა („საკრამენტოში“ გადავიდა) და პენი ჰარდევეიმ („ფინიქსში“ გადავიდა).


აიზეკ ოსტინი (მარჯვნივ)

აიზეკ ოსტინი 30 წლისაა და 1991 წლის დრაფტის მეორე წრეში „იუტა ჯაზმა“ ამოირჩია. იქ მან ორი წელი დაჰყო, შემდეგ კი დაითხოვეს. ოსტინი კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაში გადავიდა, ხოლო 1993-94 წლების სეზონი „ფილადელფიაში“ ჩაამთავრა. მერე იქიდანაც გააძევეს და ბედმა საფრანგეთსა და თურქეთში გადააგდო.

1996 წელს იგი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, „მაიამი ჰითში“ დაბრუნდა და იმავე სეზონში ლიგის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე გახდა. მომდევნო სეზონში „ჰითის“ ძირითადი ცენტრი ალონზო მურნინგი დაშავდა და ოსტინმა მისი ადგილი დაიკავა. როცა მურნინგი გამოკეთდა, კლუბმა აიზეკი „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ გაუცვალა ბრენტ ბერიში. ის სეზონი ოსტინისთვის საუკეთესო იყო: მატჩში საშუალოდ 13,5 ქულა და 7,1 მოხსნა გააკეთა.

მოულოდნელად, ოსტინმა აღარ განაახლა ურთიერთობა „კლიპერსთან“ და თავისუფალი აგენტის სტატუსით თავის ბედი სამი წლით დაუკავშირა „ორლანდო მეჯიქს“. ეს ამბავი წლეულს იანვარში, ლოკაუტის გაუქმების შემდეგ მოხდა. ოსტინს კონტრაქტით 15 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. მის ორლანდოურ სეზონს წარმატებული ნაღდად არ ეთქმოდა, რადგან მატჩში საშუალოდ 9,7 ქულა და 4,8 მოხსნა ვერაფერი ბედენაა. შესაძლოა, აიზეკის გაცვლა ამ ფაქტმაც გამოიწვია.

„ვაშინგტონის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილია ამ გარიგებით. კლუბის გენერალური მენეჯერის ვეს ანსელდის აზრით: „აიზეკის მოსვლას გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მისი გამოცდილება და შესაძლებლობები ის იარაღია, რომელიც „ვიზარდსს“ წინა სეზონში არ ჰქონდა“. სხვათა შორის, ოსტინი „ვაშინგტონის“ პირველი შენაძენია სეზონთაშორის პერიოდში.

სამაგიეროდ, „ორლანდომ“ იმდენი ივაჭრა, რომ ბარე სამ გუნდს ეყოფა. ამ გარიგების ძალით მის რიგებში გადასულთაგან ყველაზე გამოცდილი და სახელიანი 32 წლის უკანახაზელი ტიმ ლეგლერია. იგი 1995 წელს მივიდა „ვიზარდსში“ და იმ სეზონში 77 მატჩში საშუალოდ 9,4 ქულა გააკეთა. 1996 წლის „ოლ-სტარ უიკ ენდზე“ სამქულიანების კონკურსი მოიგო.

32 წლისაა ფორვარდი ტერი დევისი. ბოლო სეზონში მან 34 მატჩი დაიწყო ძირითად ხუთეულში (სულ 37 ითამაშა) და საშუალოდ 3,4 ქულა და 3,8 მოხსნა გააკეთა.

ჯეფ მაკინისი უკანახაზელია და 24 წლისაა. იგი თავისუფალი აგენტი იყო. „ვაშინგტონმა“ ჯერ კონტრაქტი გაუფორმა მას და მხოლოდ შემდეგ გაუშვა „ორლანდოში“ დანარჩენ სამ მოთამაშესთან ერთად. წინა სეზონში მან 35 მატჩი ითამაშა. საშუალოდ 3,7 ქულა და 2,1 პასი მიითვალა.

24 წლის ფორვარდი ბენ უოლესი საშუალო 8,6 მოხსნით საუკეთესო იყო „ვიზარდსში“. ამ მაჩვენებლის მიხედვით მან 46 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 6,0 ქულას და 1,6 დაფარებას დასჯერდა.

გარიგების თაობაზე აზრი გამოთქვა „ორლანდოს“ გენერალურმა მენეჯერმა ჯონ გაბრიელმა: „ეს გაცვლა იმ გეგმის ნაწილია, რომელიც ახალი კლუბის შექმნას ისახავს მიზნად. ვფიქრობთ, ოთხივე მოთამაშეს საფუძვლიანად გამოვიყენებთ. ისინი ძირითადი ხუთეულების წევრები თუ არა, უპირველესი შემცვლელები მაინც იქნებიან“.

## პიპენს ლეიკერსში გაყიდვა უთხოვია

ორიოდ კვირის წინ „ჰიუსტონ როკიტსის“ ფორვარდმა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ექვსგზის ჩემპიონმა სკოტი პიპენმა განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელება ჰიუსტონში სურს და არსად აპირებს წასვლას. ამ ოთხშაბათს კი სკოტის აზრი შეუცვლია და „როკიტსის“ მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩისთვის უთხოვია, „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ გამყიდეთო. ეს ამბავი ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელევიზიამ გაავრცელა.

კომენტარისთვის პიპენის აგენტს, ჯიმი სექსტონს მიადგნენ. მან არც დაადასტურა და არც უარყო აღნიშნული ინფორმაცია. დუმს რუდი ტომიანოვიჩი: კონტრაქტის მიხედვით მას ეკრძალება ტრანსფერებსა და გაყიდვებზე საჯარო საუბარი.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ კი უარზეა. მისმა პრეს-ატაშემ ჯონ ბლეკმა მედიას განუცხადა: ჩვენგან რა პასუხს ითხოვთ, უმჯობესია პიპენის თაობაზე თავად „ჰიუსტონს“ დაეკითხოთო. თავის მხრივ, „ჰიუსტონიც“ არაფერს ამბობს და ესეც თქვენი მოჯადოებული წრე.

შეგახსენებთ, რომ იანვარში „როკიტსმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა პიპენს, რომლის მიხედვითაც კალათბურთელს 67,2 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

## კარლმა გენერალური მენეჯერობა იუარა

სამშაბათს „მილუოკი ბაქსმა“ სამსახურიდან დაითხოვა გენერალური მენეჯერი ბობ ვეინჰაუერი და წამსვე მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. გაირკვა, რომ პირველს ეს ადგილი გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯორჯ კარლს შესთავაზეს.

ოთხშაბათს კარლი „მილუოკი ბრუერზის“ და „კოლორადო როკიზის“ ბეისბოლისტთა მატჩზე მივიდა და პირველი საპატიო სროლა შეასრულა. შემდეგ კი ჟურნალისტებისთვის მოიცალა და ერთმნიშვნელოვნად თქვა: არც გენერალური მენეჯერობა მსურს და არც ორი თანამდებობის შეთავსებაო.

კარლი შარშან ჩაუდგა სათავეში „მილუოკის“ და 1991 წლის მერე პირველად გაიყვანა პლეი ოფში. ეს შეთავაზება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მწვრთნელი ასე ფიქრობს: „საზოგადოდ, გენერალური მენეჯერობის და მთავარი მწვრთნელობის შეთავსება კლუბისთვის იდეალური ვარიანტია, მაგრამ მე საამისოდ დრო არა მაქვს“.

კარლმა დიდი პატივისცემით მოიხსენია პოსტიდან წასული ვეინჰაუერი და აღნიშნა, რომ გუნდის პლეი ოფში გასვლა დიდად განაპირობა ამ კაცის გონივრულმა სატრანსფერო პოლიტიკამ. მწვრთნელმა ისიც დასძინა, რომ ძალიან სურს ვეინჰაუერის შემცვლელთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს.

# ქარბორბალამ ჯაზის სარბიელი დაუნგრია

საზარელი ქარბორბალა დაარტყდა თავს იუტას შტატს, კერძოდ მის დედაქალაქ სოლტ ლეიკ სიტის. ნგრევა-მსხვერვაზე ლაპარაკი ალარც არის, სტიქიამ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ქარბორბალა ოთხშაბათს, დაახლოებით დღის პირველ საათზე ამოვარდა სოლტ ლეიკ სიტის ცენტრში და ერთ-ერთი პირველი შენობა, რომელსაც ეძგერა, საკალათბურთო დარბაზი „დელტა ცენტრი“ იყო.

„დელტა ცენტრი“, მოგეხსენებათ, ახალაშენებული სარბიელია, სადაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „იუტა ჯაზი“ და ქალთა ანალოგიური ლიგის „იუტა სტარზი“ თამაშობენ. 20-ათასიანი დარბაზი გვარიანად დაზარალდა — სახურავი ნაწილობრივ გადასძვრა, ჭერში ნახვრეტები გაჩნდა, ხოლო ფანჯრები ერთიანად ჩაილეწა. ბეწვზე გადარჩა დარბაზის ჭერში დაკიდული გიგანტური ელექტროტაბლო — მან მხოლოდ რამდენიმე მეტრით დაბლა დაიწია.

ზარალის დადგენა ერთბაშად ვერ მოხერხდა. ის კი დადგინდა, რომ დღეისთვის დაგეგმილი ქალთა მატჩი „იუტა სტარზსა“ და „ფინიქს მერკურის“ შორის გაიმართება სოლტ ლეიკ სიტიდან 50 კილომეტრით დაშორებულ „დი ევენტს ცენტრში“. „იუტა ჯაზის“ პრეს-ატაშის ევან სილვერმანის თქმით, უცნობია, როდის მოეწყობა მომდევნო მატჩი „დელტა ცენტრში“.

ქარბორბალამ შენობის გარშემო მდგარი მანქანებიც მილეწ-მოლეწა. მათ შორის „დელტა ცენტრის“ ვიცე-პრეზიდენტის ბრენტ ალენბახის ახალთახალი „ფორდიც“.

ამ სტიქიასთან რას მოვა, მაგრამ წინა დღეს „იუტა ჯაზს“ კიდევ ერთი უსიამოვნება დაატყდა თავს — კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სკოტ ლეიდენი „ნიუ იორკ ნიქსში“ გადავიდა გენერალურ მენეჯერად.



ქარბორბალამ ერთი საათის წინ გადაუარა „დელტა“ ცენტრს

AP ცინცინატიდან



მაიკლ ჩანგი

AP მანჰეტენ ბიჩიდან



მარტინა ჰინგისი

# მალე ჩოგნებსაც გადავითვლით

**ცინცინატი. GREAT AMERICAN INSURANCE ATP CHEMPIONSHIPS. ჰარდი. საპრიზო 2 450 000 $**

ოთხშაბათი მძიმე გამოდგა განთესილთათვის. ერთბაშად ოთხმა მათგანმა აიკრა გუდა-ნაბადი და მათ კინაღამ კიდევ ორი მიჰყვა. თავდაპირველად ესპანელ ალექს კორეტხას არ გაუმართლა. მისი მეტოქე, მაიკლ ჩანგი, მართალია, მარაქაში აღარ არის, მაგრამ ნებისმიერი ბობოლასთვის არასასურველი მეტოქე რომაა, ეს კორეტხამაც გამოსცადა საკუთარ თავზე. დაძაბულ სამსეტიან ბრძოლაში მან მოახერხა მეორე სეტის ტაი-ბრეიკში მოგება, თუმც ბოლო, გადამწყვეტ სეტში ყურები ჩამოყარა და მშვენივრად მოთამაშე ჩანგს ჩაბარდა. მერვე ნომრად განთესილ კორეტხას მალევე მიჰყვა მეცხრე ნომერი, ამერიკელი ტოდ მარტინი. მას ამერიკელმავე — ჯასტინ გიმელსტობმა გამოუყვანა წირვა. კორეტხას თანამემამულეს, ალბერტ კოსტასა და შვედ ტომას ენკვისტსაც იგივე დღე დაადგათ. ორ გერმანელს — ნიკოლას კიფერს და ტომი ჰაასს კი ერთობ გაუჭირდათ, დიდი ჯაფა დაადგათ მომდევნო წრეში გასასვლელად.

ცინცინატური ტურნირი ორშაბათს კი დაიწყო, მაგრამ ზოგიერთი სახელიანი მხოლოდ ორი დღის შემდეგ ჩაერთო ბრძოლაში. პირველი ჩოგნობის დაბრუნებაზე მეოცნებე სამმა ჩოგბურთელმა წარმატებით გაიარა ეს ეტაპი. გაუჭირდა ცინცინატის შარშანდელ დამპყრობს, ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს, ოღონდ დასაწყისში. მას ჩეხი დანიელ ვაჩეკი დაუპირისპირდა და კარგადაც ებრძოლა. პირველ სეტში ლამის გამოსტაცა გამარჯვება, თუმცა ბოლოს კლასმა და ოსტატობამ გადასწონა და მეომარმა ჩეხმა ფარ-ხმალი დაყარა. „დანიელი კარგი ჩოგბურთელია. ვფიქრობ, მას გაცილებით უკეთ ძალუძს თამაში და არც ჩემი დამარცხებაა მისთვის შეუძლებელი“ თქვა ოზმა და დაამატა, ერთობ გამიმართლაო. რაფტერის ჯახირის ფონზე სულ იოლად გაალწიეს მესამე წრეში პირველი ჩოგნის, სამპრასის სხვა მოცილეებმა — ანდრე აგასიმ და ევგენი კაფელნიკოვმა. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, ხოტორა აგასიმ, რომელიც იმ ხუთიდან ერთ-ერთია, ვისაც ოთხივე დიდი სლემის ტურნირის მოგებით დაუმშვენებია ხელი, სულ იოლად, 58 წუთში დასცა მსოფლიოს 56-ე ჩოგანი, ფრანგი არნო დი პასკალი. ასევე გაუსწორდა თავის მეტოქეს მეორე ჩოგანი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი. მეტოქე კი საკმაოდ სერიოზული ჰყავდა — იონას ბიორკმანი.

ინტერესს იწვევდა აგრეთვე ორი ცნობილი განუთესავის — კარლოს მოიას მძლეველ სედრიკ პიოლინისა და ჯიმ კურიეს შერკინება. მათი შეხვედრა იმ დღეს გამართულთაგან ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი სეტი ამერიკელს დარჩა 7:6, მეორეც ტაი-ბრეიკში გადავიდა. აქ ფრანგმა უფრო იყოჩაღა და როცა ყველა დიდი ინტერესით ელოდა გადამწყვეტი, მესამე სეტის ბატალიებს, 2:0-ს რომ აგებდა, კურიეს ფეხში სპაზმები დაეწყო და ტურნირსაც დაემშვიდობა.

მეორე წრე: **პატრიკ რაფტერი** (2, ავსტრალია) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) 7:6, 6:3; **ანდრე აგასი** (3, აშშ) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; **ევგენი კაფელნიკოვი** (4, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:1, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ალექს კორეტხა (8, ესპანეთი) 6:3, 6:7, 6:2; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — ტოდ მარტინი (9, აშშ) 6:4, 6:4; **ტომი ჰაასი** (11, გერმანია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:0, 6:7, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (12, გერმანია) — პოლ გოლდშტეინი (აშშ) 2:6, 6:4, 7:6; **კრის ვუდრაფი** (აშშ) — ტომას ენკვისტი (13, შვედეთი) 6:1, 7:5; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ალბერტ კოსტა (14, ესპანეთი) 7:6, 7:6; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:0, 7:6; **რაინიერ შუტლერი** (გერმანია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 7:5, 7:6; **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:7, 7:6, 2:0.

**მანჰეტენ ბიჩი. კალიფორნია. საპრიზო 520 000 $**

ამ ერთი თვის წინ უიმბლდონზე უმწარესი მარცხის შემდეგ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი თანდათან თავს აღწევს შოკს. მან რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი კალიფორნიული ტურნირიც მოიგო და ამით კვლავ დაიბრუნა პირველი ჩოგნის წოდება. მარტინა, რაღა თქმა უნდა, ამ პირველობის მოგებასაც გეგმავს და ვინც წინ აღუდგება, ყველას ჩამოშორებას აპირებს. ზოგჯერ ეს კარგადაც გამოსდის, ზოგჯერ კი (რას იზამს, ყველა მეტოქე ერთნაირი არაა) დიდი გაჭირვებით გადის შემდგომ ეტაპზე, ასე იყო ამჯერადაც. 18 წლის შვეიცარიელს სამი სეტი დასჭირდა ლაიზა რეიმონდის დასამარცხებლად და დიდი გაჭირვებით გავიდა მეოთხედფინალში. რეიმონდს, რასაკვირველი, გული დასწყდა. ისიც თქვა, მოგება შემეძლოო, მაგრამ როცა მარტინას ეთამაშები, ძნელია წარმატებაზე ფიქრიო.

მარტინასთან ერთად სხვა განთესილებმაც უწიეს მეოთხედფინალს და მათ ეს პირველ ჩოგანზე გაცილებით იოლად მოახერხეს. მესამე ნომრად განთესილმა ფრანგმა, მარი პირსმა ცოტაოდენი ოფლი მოიღვინა იაპონელ აი სუგიამასთან შეხვედრაში, მეოთხე ნომერმა არანჩა სანჩეს-ვიკარიოს და მეექვსე სერენა უილიამსს კი წამითაც არ გაუხდიათ თავიანთი უპირატესობა საეჭვო.

მეორე წრე: **მარტინა ჰინგისი** (2 შვეიცარია) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:1, 4:6, 6:3; **მარი პირსი** (3 საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 7:5; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4 ესპანეთი) — რუქსანა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:1; **სერენა უილიამსი** (აშშ) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:3, 6:1; **ჟული დეალარ-დეკუჟისი** (საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:6, 7:5

**ივანე ძოზიაშვილი**

AP ცინცინატიდან



სედრიკ პიოლინი



# ვისი ფული გსურს?

## მიკა სალოს მთხოვნელების რიგი უდგას

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**მიხაელ** შუმახერის ავარია მიკა სალოს კარიერას ერთობ წაადგა. „ფერარიში“ შუმის შემცვლელად აყვანილმა „მეორე ფინელმა“ ავტოსპორტის სპეციალისტები სასიამოვნოდ გააკვირვა თავისი ბრწყინვალე რბოლით. სალოს დიდი დამსახურებაცაა ის, რომ მისმა თანაგუნდელმა, ირლანდიელმა ედი ირვინმა საერთო ჩავლაში „პირველ ფინელს“, მიკა ჰაკინენს გადაასწრო. „ედი შესანიშნავი მრბოლია. მას ჯერ კიდევ ფორმულა 3-დან ვიცნობ და ვმეგობრობთ კიდეც. ძალიან მიხარია, რომ ლიდერობის მოპოვებაში ცოტა მაინც დავეხმარე“ — თქვა ამჟამად „ფერარის“ დროებითმა წევრმა. თუმცა სავსებით შესაძლებელია გაისიდან ის იტალიური გუნდის „მუდმივი წევრი“ გახდეს.

სარწმუნო წყაროების ცნობით, ფინელს უკვე ექვსი გუნდი ეპატიჟება. „ფერარის“ გარდა მისი გადაბირება სურთ „BAR“-ს, „ჯორდანს“, „ბენეტონს“, „ზაუბერსა“ და „პროსტს.“ ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ მიკა სალო მომავალ სეზონში ფორმულა 1-ის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იქნება, ოღონდ ვისი ბოლიდის საჭეს მიუჯდება, ჯერჯერობით გაურკვეველია. „გადაწყვეტილების მიღებამდე ერთ-ორ კვირას კიდევ ვიფიქრებ, აჩქარება ნამდვილად არ მმართებს“ — განაცხადა მიკა სალომ.

# მაკლარენმა კულტჰარდს თითი დაუქნია

## შოტლანდიელს შოტლანდიელით აშინებენ

**ჯერ** ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონი არ ჩამთავრებულა, გუნდების მფლობელები კი უკვე სამომავლოდ ემზადებიან — ეძებენ პერსპექტიულ ავტომრბოლელებს, რომლებიც მათი მანქანებით წარმატებას მიაღწევენ და ხაზინასაც კიდევ უფრო გაუმდიდრებენ.

ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული და ძლიერი გუნდი „მაკლარენი“ კონსტრუქტორთა პირველობაში „ფერარის“ ლიდერობას ვერაფრით შეგუებია და თავისი იტალიური კონკურენტის ძლევას შემადგენლობის განახლებით აპირებს.

„დევიდ კულტჰარდი გაისად შედეგებს თუ არ გააუმჯობესებს, გუნდის დატოვება მოუწევს“ — განაცხადა „მაკლარენის“ პრესატაშემ. შოტლანდიელის შემცვლელიც თითქოს უკვე შეუგულებიათ. სავსებით შესაძლებელია, დარიო ფრანკიტიმ, რომელიც ამერიკაში მიმდინარე ერთ-ერთ ტურნირში მონაწილეობს და გასულ კვირას დეტროიტში გამართული ეტაპიც მოიგო, 2001 წლის სეზონში თავისი თანამემამულის ადგილი დაიკავოს და „მაკლარენის“ საჭეს მიუჯდეს.

„ევროპაში დაბრუნება ნამდვილად მინდა, ფორმულა 1-იც ძალიან მიზიდავს, მაგრამ მეორეხარისხოვან გუნდთან კონტრაქტს არ დავდებ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ფრანკიტიმ, რომლის გადაბირება „მაკლარენის“ გარდა „ჯორდანსა“ და „სტიუარტსაც“ სურთ. საკითხავი კი, ალბათ, ერთია: დათანხმდება ამბიციური შოტლანდიელი რომელიმე ზემოაღნიშნულ გუნდში მეორე პილოტობას, თუ აუცილებლად „პირველ ვიოლინოობას“ მოითხოვს.

**გაგი გურული**



დევიდ კულტჰარდი გაისად ძალიან უნდა დაფაცურდეს

ვELORBOLA

# ველორბოლა



„გალიციის ტურის“ მესამე ეტაპის სამგლოვიარო ფინიში

# აი, ხალხი, აი, კაცობა!

## ქირისუფლები ველოსიპედზე

### ნუ გაიკვირვებთ: ადამიანური თანაგრძნობა რბოლისა და ფულის მოხვეჭის შინზე ამაღლდა

ოთხშაბათს გამართულ „გალაციის ტურის“ მესამე ეტაპს გამარჯვებული არ ჰყოლია და არც საერთო ჩათვლაში შეცვლილა რამე. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს სრული სიმართლეა. ველომრბოლელებს მზის დაბნელების არ შეშინებიათ და სტარტზეც გავიდნენ, მაგრამ 190-კილომეტრიანი გზა მათ ერთად, ყოველგვარი შეტევების გარეშე გაიარეს და არც ფინიშისას გამართულა ჩვეული სპრინტი მოგებულის გამოსავლენად. ეტაპის ბოლო მეტრებზე ისინი საერთოდ ველოსიპედებიდან ჩამოქვეითდნენ და ფინიშის ხაზი ფეხით გადაკვეთეს.

ყოველივე ამის მიზეზი კი წინა დღეს ჩატარებული მეორე ეტაპის დროს მომხდარი ტრაგედია იყო. ალბათ, მოგეხსენებათ, ველოსიპედისტთა შეჯიბრებებს ტელევიზია საკმაოდ კარგად აშუქებს. ამისთვის ოპერატორების უმეტესობა მოტოციკლებზეა შემომსხდარი (მძღოლების უკან) და პელოტონსაც ისე მიჰყვება. სხვანაირად რბოლას თვალს ვერ მიადევნებ.

სამშაბათს კი ერთ-ერთი ასეთი მოტოციკლი იტალიელ მრბოლ დენის ძანეტეს (პოლტი) დაეჯახა და... თვით მრბოლი შედარებით იოლად —მცირედი ტრავმით და დიდი შიშით გადარჩა. აი, მოტოციკლისტი კი ისე დაიმტვრა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

40 წლის ხესუს პრესა პელოტონის მიყოლით არჩენდა ოჯახს, რომელმაც მისი დაღუპვით ერთადერთი მარჩენალი დაკარგა. უკლებლივ ყველა მრბოლს დასწვა გული მომხდარმა ტრაგედიამ, კაცურად მოილაპარაკეს და „გალაციის ტურისას“ გამომუშავებული პრემიების უმეტესი ნაწილი უიღბლო მოტოციკლისტის ოჯახს გადაურიცხეს. მათ არც ტურნირის ორგანიზატორები ჩამორჩნენ და ოთხშაბათის ეტაპის შემოსავალი მთლიანად გაიღეს.

ეს უკვე მეორე უბედური შემთხვევაა წლეულს ესპანეთში გამართულ ველოტურნირებზე. ორიოდ თვის წინ პირინეის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი რბოლისას საფინიშო სპრინტში ახალგაზრდა ესპანელი სპორტსმენი წაიქცა და თავი ასფალტს ისე დაარტყა, საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

**გაიოზ თალაქვაძე**

| გალიციის ტური, საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალი) — 6სთ 44წთ 57წმ |
| 2. რობერტო ერასი (ესპანეთი) — +7წმ |
| 3. მარკოს სერანო (ესპანეთი) — +9 |
| 4. ორლანდო როდრიგესი (პორტუგალია) — +10 |
| 5. ლუკა მაზანტი (იტალია) — +11 |
| 6. იგორ გალდეანო (ესპანეთი) — +12 |
| 7. ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი) — +12 |
| 8. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი) — +13 |
| 9. ანხელ კასტრესანა (ესპანეთი) — +13 |
| 10. ხოსე გარსია აკოსტა (ესპანეთი) — +26 |



უბედური თანამოსაქმის, ხესუს პრესას სიკვდილმა დენის ძანეტე დაზაფრა

# მძლეოსნობა

# ჯერ სახელისთვის, მერე სახრავისთვის



ოთხშაბათს მძლეოსნები შვეიცარიულ ციურიხში „ოქროს ლიგის“ მეხუთე ტურნირში საასპარეზოდ შეიკრიბნენ, რომელიც სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად ითვლებოდა. ნეიტრალურ სახელმწიფოში თავმოყრილმა ათლეტებმა განსაკუთრებით კარგი შედეგები ვერ (ან არ) აჩვენეს. სევილიაში ეს ალბათ აღარ განმეორდება, ასე რომ, შვეიცარიულ „სიჩუმეს“ ქარიშხლისწინა სიმყუდროვე შეიძლება ვუწოდოთ.

ყველაზე დიდ ინტერესს კაცების სპრინტი იწვევდა. ციურიხულ სარბიელს ერთ-ერთი ყველაზე „სწრაფის“ სახელი აქვს დაგდებული მთელს მსოფლიოში და მოსალოდნელი იყო, რომ სპორტსმენები 100-მეტრიან დისტანციას საკმაოდ სწრაფადაც გაირბენდნენ. თუმცა ასე არ მოხდა. გამარჯვება მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა მორის გრინმა მოიპოვა, მაგრამ მისი შედეგი (9,99 წამი) ძალიან შორსაა მის მიერვე ათენში ნაჩვენებ მსოფლიოს საუკეთესო დროზე (9,79 წამი). დანარჩენ სპორტსმენთაგან კი, რა თქმა უნდა, ვერავინ მოახერხა დისტანციის 10 წამზე ნაკლებ დროში დაფარვა.

ციურიხული სპრინტისადმი ინტერესი მის დაწყებამდევე განელდა, რადგან ნაშუადღევს ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა განაცხადა — ბარძაყის კუნთი დამეჭიმა და ველარ ვირბენო. არადა, ბოლდონი ის ერთადერთი სპორტსმენია, ვინც წლეულს გრინის დამარცხება შეძლო.

ტურნირზე ყველაზე დიდი იმედგაცრუება, ალბათ, 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონის, ფრანგი სტეფან დიაგანას უსუსტესი ასპარეზობა იყო. მან ფინიშამდე მისვლას 49,29 წამი მოანდომა და ბოლო ადგილზეც გავიდა.

ბოლდონის არყოფნაში 200 მეტრზე ნამიბიელმა ფრენკი ფრედერიქსმა გაიმარჯვა, თუმცა მას ბარბადოსელმა ობადელე ტომპსონმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ 3 მეასედი წამით წააგო.

იმ ოთხმა მძლეოსანმა კი, რომლებიც სეზონის დაწყებიდანვე „ოქროს ლიგის“ არც ერთ ტურნირზე არ დამარცხებულან და მილიონი დოლარის მოგების შანსს ინარჩუნებენ, შვეიცარიაშიც იყოჩაღეს.

ოსლოში, რომში, პარიზსა და მონაკოში თავ-თავიანთ დისციპლინებში უძლიერესები — ამერიკელი მარიონ ჯონსი (200 მ), დანიელი უილსონ კიპკეტერი (800 მ), რუმინელი გაბრიელა საბო (3000 მ) და კენიელი ბერნარ ბარმასაი (3000 მ წინაღობებით) ციურიხშიც არ შერცხვნენ. ახლა მათ ორი ტურნირის მოგებაღა დარჩათ და მილიონ დოლარსაც გაინაწილებენ. სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჯერ ბრიუსელი, შემდეგ კი ბერლინი უმასპინძლებს მსოფლიოს უძლიერეს მძლეოსნებს.

**გაიოზ თალაქვაძე**



გაბრიელა საბო (№4)



მარიონ ჯონსი

# ჭადრაკი

# კაცი, რომელმაც მსოფლიო გააკვირვა

## უცნობმა რუმინელმა ლას ვეგასში დიდი სახელი მოიგო

სენსაცია ცხვაო, ცხვაო და გამოცხვაო. ლას ვეგასში „ნოკაუტ-სისტემით“ მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე სამი წრე ისე ჩათავდა, რაიმე მართლაც გასაოცარი არაფერი მომხდარა. მერვედფინალში გასულ მოჭადრაკეთაგან ორიოდე თუ იყო ისეთი, ამხელა წარმატებას რომ „არ იმსახურებდა“ (მათი რეიტინგული მაჩვენებლების მიხედვით) და აი, როგორც იქნა, მოწმენდილ ცაზე ქუხილსაც მოვესწარით: რუმინელმა ლივიუ-დიტერ ნისიპეანუმ მასზე თითქოს ბევრად ტვინლონიერი უკრაინელი ვასილი ივანჩუკი დაამარცხა. ალბათ გახსოვთ, ერთ-ერთ წინა „სარბიელში“ ივანჩუკისგან ორ წრეში ზედიზედ ოთხი პარტიის მოგებაზე რომ ვწერდით და მისი ფოტოც გაახლეთ. ახლა კი ივანჩუკი ტაიბრეიკში დამარცხდა და თანაც ვისთან? მოჭადრაკესთან, რომლის გვარი დღემდე სპეციალისტების გარდა ნაკლებად თუ ვინმეს სმენია. რუმინელი ერთბაშად ყურადღების ცენტრში მოექცა და ჩვენც ფიდეს წლევანდელ რეიტინგ-ლისტში ჩავიხედეთ, რათა ამ პიროვნებაზე საწყისი მონაცემები მაინც შეგვეგროვებინა. მოჭადრაკეთა საუკეთესო ასეული გულმოდგინედ გადავჩხრიკეთ, მაგრამ სადაა ნისიპეანუ? იგი თურმე აქამდე საერთოდ გაღმა ყოფილმა, სადღაც 105-ე და 110-ე ადგილებს შორის. მეტსაც გეტყვით, მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს სიაში რუმინელი სულაც 195-ე ადგილზე აღმოვაჩინეთ. მოკლედ, 23 წლის ყმაწვილმა ერთი გაკვირვება უკვე გააკვირვა მსოფლიო და მეოთხედფინალში შიროვსაც თუ რამე მოუხერხა, საინფორმაციო სააგენტოებმა იქნებ მისი ფოტოც გვალირსონ.

ახლა დანარჩენებზე. მეოთხედფინალის მეორე, ბევრად მცირე მოულოდნელობა ბორის გელფანდის მარცხი გახლდათ, რაც მას თანამემამულე ალექსანდრ ხალიფმანმა აწვნია. ტაიბრეიკში სწრაფი ჭადრაკი იკმარეს გამარჯვებისთვის იუდით პოლგარმა, რომელმაც რუსი ვადიმ ზვიაგინცევი გააგდო და ვლადიმერ კრამნიკმა, რომელმაც სახელოვანი ბულგარელი, ვესელინ ტოპალოვი გაუყენა სამშობლოს გზას. ბლიცებში ნერვების წყვეტა დასჭირდათ ინგლისელ მაიკლ ადამსსა და გაჩეხებულ სომეხს, სერგეი მოვსესიანს. შიროვი და აკოფიანი, მოგეხსენებათ, მეოთხედფინალში ადრევე გავიდნენ, ასე რომ, მეხუთე წრის წყვილები დღეს საბოლოოდ დაკომპლექტდა. აი, ისინიც: კრამნიკი—ადამსი, მოვსესიანი—აკოფიანი, პოლგარი—ხალიფმანი, ნისიპეანუ—შიროვი.

**დავით გულუა**

### კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7



# ეგ არის და... «ჩემპიონი»

## ფრენკ მელოუნი: გიორგი კანდელაკმა ლენოქს ლუისის გზა უნდა გაიაროს

### მანამდე ბევრი იქნება ბრძოლა... უახლოესი: ბათუმი, 21 აგვისტო, კიმ ოუდემი

გუშინწინ დიდი სტუმრიანობა იყო ვარიანში. გიორგი კანდელაკის მშობლიურ სოფელს ჯერ საკრივო სამყაროში სახელდაგდებული მენეჯერი, ინგლისელი ფრენკ მელოუნი და გიორგის სპარინგ-მეტოქე მარკ ლივი ეწვივნენ, მერე მათთან სასაუბროდ და კანდელაკის თაოსნობით და გარჯით აგებული სპორტული კომპლექსის სანახავად თბილისიდან ჟურნალისტები გავეშურეთ. ერთი სიტყვით, ვარიანში ბლომად ხალხმა მოვიყარეთ თავი და აქვე გეტყვით, რომ ყველა გაოცებული დავრჩით იქ ნანახით. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

ამ რამდენიმე წლის წინ ვარიანელმა მსოფლიოს ჩემპიონმა, გიორგი კანდელაკმა თავის სოფელში საკრივო დარბაზის აშენება გადაწყვიტა და საქმესაც შეუდგა. თავიდანვე ცხადი იყო, მარტოს ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომაც ამოიყენა მხარში სიმამრი ვახტანგ ყანჩაველი, რომლის ხელობაც სწორედ მშენებლობაა და სიძე-სიმამრმაც გაათკეცებული ძალით განაგრძეს საქმე. ვარიანელებმაც მკლავები დაიკაპიწეს, თანასოფლელს გვერდით დაუდგნენ და ისეთი დარბაზი წამოჭიმეს, მოყვარეს რომ გულს გაუხარებს და მტერს თვალს დაუვსებს.

გიორგი კანდელაკს ნაშრომ-ნალვაწი შევუქეთ და ინგლისში ჩატარებულ ბოლო ბრძოლებზე ვესაუბრებოდით, როცა ვარიანის საკრივო დარბაზს მწვანე BMW მოადგა. იქედან ვახტანგ ყანჩაველი, ბრიტანელი სტუმრები ფრენკ მელოუნი და მარკ ლივი გადმოვიდნენ, მოგვესალმნენ და დარბაზში შეგვიძღვნენ, სადაც მასპინძლებს პრესკონფერენციისთვის სახელდახელოდ მოეწყოთ ერთი კუთხე. ბატონმა ვახტანგმა მაგიდასთან ფრენკ მელოუნს, აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი მელაძეს, ნოდარ ექვთიმიშვილს, კობა გოგოლაძეს, მის მენეჯერ მამუკა წიკლაურს, გიორგი კანდელაკის პირველ მწვრთნელ ავთანდილ შოშიაშვილს და თავად გიორგის უხმო. ჟურნალისტებს მადლობა გადაგვიხადა ვარიანში ჩასვლისთვის და აბა, ახლა თქვენი ჯერია, გვკითხეთ და გიპასუხებთო.

საკითხავი მართლაც ბევრი გვქონდა და ჩვენც დავიწყეთ: ბატონ ვახტანგს ჯერ დარბაზზე ჩამოვუგდეთ სიტყვა და მანაც აი, ეს გვითხრა:

— ალბათ, ტრაბახში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ამ დარბაზის აშენებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. აუცილებლად უნდა ვახსენო ის ხალხი, ვინც გულთან მიიტანა გიორგის წამოწყება და რითიც შეეძლოთ, დაეხმარნენ. ესენია, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე, „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია, ფირმა „ყაზბეგის“ თავკაცი გოგი თოფაძე, პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძე და, რა თქმა უნდა, ვარიანელები, რომლებიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მუშაობდნენ და მათი დიდი დამსახურების შედეგია, დღეს რომ ამ შენობაში ვიმყოფებით. აქვე გეტყვით, რომ განზრახული გვაქვს სპორტული კომპლექსის შექმნა — სულ მალე აქ 40-ადგილიანი სასტუმროს, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნებსა და ჩოგბურთის კორტებს იხილავთ. ასე რომ, ვარიანში არა მარტო მოკრივეებს შეეძლებათ ვარჯიში, არამედ სხვა სახეობების წარმომადგენლებსაც ექნებათ საშუალება, შეჯიბრებისთვის მოემზადონ. ერთი სიტყვით, გიორგი კანდელაკის სახელობის სპორტული კომპლექსის — „ჩემპიონის“ კარი ყველასთვის ღიაა — ამით დაასრულა ვახტანგ ყანჩაველმა და დაამატა, ახლა კი დროა, 21 აგვისტოს ბათუმში დაგეგმილ ბრძოლაზე ვილაპარაკოთ და ფრენკ მელოუნსაც მოვუსმინოთო.


ფრენკ მელოუნი: გიორგი ჩემპიონი უნდა გავხადო

მაშ ასე, გიორგი კანდელაკი პროფესიონალებში მეთერთმეტე ბრძოლას ბათუმში გამართავს. მისი მეტოქე ამერიკელი კიმ ოუდემი იქნება, კაცი, რომელსაც 49-ჯერ უჩხუბია პროფესიულ რინგზე და აქედან ორმოცჯერ გაუმარჯვია. ოუდემი ერთ დროს ლენოქს ლუისის სპარინგ-მეტოქეც ყოფილა, ბევრ ცნობილ მძიმეწონოსან მოკრივეს შეხვედრია და მათ შორის მაიკ ტაისონს, რომელთანაც მესამე რაუნდში დამარცხებულა. მოკლედ, გიორგის საკმაოდ გამოცდილ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან ექნება საქმეო, თქვა კანდელაკის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა. ბატონ ფრენკს კრივის სამყაროში მარიფათიანი მენეჯერის სახელი აქვს დაგდებული და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს, თანაც საკმაოდ საინტერესო მოსაუბრე გამოდგა. ამიტომ დღეს მხოლოდ მის რამდენიმე მოსაზრებას გაგაცნობთ, ვრცელ ინტერვიუს კი ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

ცხადია, მელოუნს პირველად ჩვენებურებზე გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეზე დავეკითხეთ.

— გიორგი და კობა ძლიერი მოკრივეები არიან, თუმცა პროფესიონალებში წარმატების მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომონ. კანდელაკს თავისი მონაცემებით ყველანაირი შანსი აქვს, ჩემპიონი გახდეს. მჯერა, სამ-ოთხ წელიწადში ამასაც შეძლებს. გულწრფელად გეტყვით, მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ, გიორგის ლენოქს ლუისის მემკვიდრედ მივიჩნევ. გოგოლაძემ მხოლოდ ორი ბრძოლის გამართვა მოასწრო. თუმცა სპეციალისტებს და კრივის მოყვარულებს უკვე თავი დაამახსოვრა. იგი უშიშარი, შრომისმოყვარე ბიჭია და პროფესიონალებში დამკვიდრება არ გაუჭირდება. ახლახან კიდევ ერთ ქართველს დავადგი თვალი. რამაზ ბებნაძე სექტემბერში პირველ ბრძოლას ჩაატარებს. პერსპექტიული მოკრივეა, ჩემი შვილობილი ხარ-მეთქი, ხშირად ვეუბნები. მერე ფრენკ მელოუნმა კანდელაკის სპარინგ-მეტოქე მანჩესტერელი მარკ ლივი გაგვაცნო. ეს ინგლისელი ზანგი გიორგის 21 აგვისტოს გასამართ ჩხუბში მოსამზადებლად დაეხმარება. ამ დღეებში კი ბულგარელი მწვრთნელი მიხაილ ტაკოვიც შემოგვიერთდებაო.

ერთი სიტყვით, გიორგი კანდელაკი და მისი გუნდი დიდ სამზადისში არიან, გულხელდაკრეფილნი არც ბათუმელები არიან. აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა, ყოფილმა მოკრივემ, ირაკლი მელაძემ გვითხრა:

— კანდელაკისა და კიმ ოუდემის ბრძოლა ბათუმის სტადიონზე გაიმართება. ამ დღეებში გერმანიიდან ჩამოვიტანთ რინგს, რომლის ფასი 55 000 დოლარია. ცხადია, გაინტერესებთ, თუ იწვიმა, რა უნდა ვქნათ? მაშინ რინგს გადავხურავთ. ბრძოლა ნებისმიერ ამინდში ჩატარდება. სტადიონი იმიტომ ვარჩიეთ, რომ დარწმუნებული ვართ, პროფესიული კრივის საცქერლად უამრავი ხალხი მოვა. თანაც, ვინ იცის, კიდევ როდის ვიხილავთ კანდელაკის ჩხუბს საქართველოში. ასე რომ, ყველას ბათუმში გეპატიჟებით.

პრესკონფერენცია ამით დასრულდა, თუმცა ფრენკ მელოუნთან მერეც კარგა ხანს ვისაუბრეთ. ერთი სიტყვით, ხვალინდელ „სარბიელში“ ინტერვიუ ფრენკ მელოუნთან, საუბრები — დონ კინგზე, ჯო ფრეზერზე, მაიკ ტაისონზე, მასხარა ნასიმ ჰამედზე და, რა თქმა უნდა, გიორგი კანდელაკსა და კობა გოგოლაძეზე.

**სოსო ძოტორეიშვილი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**


კანდელაკის სპარინგ-მეტოქე მარკ ლივი


ფრენკ მელოუნის ვარიანელი „შვილობილი“ რამაზ ბებნაძე


ვარიანის ახალ საკრივო დარბაზ „ჩემპიონის“ რინგმა ჩემპიონები უნდა დაგვიზარდოს

# რკინის მაიკს დონდლო მეტოქე გამოუცვალეს

## სქელო და ბებერო ბასტერ, რაღა დროს შენი ტაისონთან ჩხუბია?!


დაწუნებული „ბასტერ“ დაგლასი

**დიდი** უცნაური ხალხია ეს პრომოუტერები. გამოუძებნიან თითქოს მავან მოკრივეს მეტოქეს და შეხვედრის დროსაც დაუთქვამენ. მერე უცებ ირკვევა, რომ იგი არ არის ამისთვის მზად, ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია ჩხუბი და იწყება ახალი მოწინააღმდეგის ძიება. მაიკ ტაისონზე გვინდა ვთქვათ. ორი დღის წინ „რკინის მაიკს“ მეტოქე გამოუნახეს და საქვეყნოდაც გაცხადდა — ბრძოლამოწყურებული ტაისონი ციხიდან გამოსვლის მერე პირველად 2 ოქტომბერს ლასვეგასის კაზინო „ემ-ჯი-ემ გრანდში“ ჯეიმს „ბასტერ“ დაგლასს ეჩხუბებაო. ეს შეხვედრა ტაისონისთვის წლეულს მეორე უნდა ყოფილიყო. ყოფილიყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ჩხუბის გამართვა გუშინ საეჭვო გახდა. პირველად, დატუსაღებამდე მაიკმა 17 იანვარს სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა გალახა. მეორე შეხვედრისთვის არიზონას შტატში, სკოტსდეილში ემზადებოდა, მაგრამ გუშინ პრომოუტერმა დენ ჰასენმა განაცხადა, დაგლასი ამჟამად არასასურველ სპორტულ ფორმაში იმყოფება და 2 ოქტომბრისთვის ვერ მოასწრებს მომზადებასო: „მაიკს ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება რინგს და საამისოდ ისეთ მეტოქეს ეძებს, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მასთან საჩხუბრად მზად იქნება. დაგლასი კი ასეთთა რიცხვს არ განეკუთვნება“.

„ბასტერ“ დაგლასი, რომელმაც სახელი ცხრა წლის წინ სწორედ ტაისონის ცემით დაიგდო, მართლაც ცუდ ფორმაშია. 39 წლის საკმაოდ მოსუქებული მოკრივე ამჟამად 135 კილოს იწონის და შესაძლოა, ნევადის შტატის ხელისუფლებმა არც დაუშვან ბრძოლაზე. ასე რომ, ტაისონი შურს ვერ იძიებს თავის გამლახავზე, ყოველ შემთხვევაში, 2 ოქტომბერს, მერე კი ვნახოთ.

და ვინ არიან „რკინის მაიკის“ შესაძლო მეტოქენი?

არჩევანი არცთუ დიდია — 33 წლის ორლინ ნორისი ან 30 წლის ჟელკო მავროვიჩი. ამჟამად ტაისონის მენეჯერი შელი ფინკელი ორივე მათგანთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ალბათ რომელიმეს დაითანხმებს.

ნორისი, რომელიც ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონ ტერი ნორისის უფროსი ძმაა, თავად იყო მსოფლიოს ჩემპიონი ქვემძიმე წონაში. მისი საკრივო კარიერა 54 ბრძოლას ითვლის, რომელთაგან ნორისს 49 მოუგია (26 ნოკაუტით). როგორც სპეციალისტები ამბობენ, 100 კილოიანი ნორისი თავს განსაკუთრებით კარგად იცავს.

რაც შეეხება ხორვატ მავროვიჩს, მისი კოზირი სიმაღლეა (190 სმ-ზე მაღალია), 28 ჩხუბიდან კი მხოლოდ ერთშია ნაცემი. ის ერთი ბრძოლა კი ხორვატმა შარშან, 26 სექტემბერს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის WBC ვერსიით ლენოქს ლუისთან დათმო.

**ძახა ხურციძე**

# ტორპედომ უეფა რეკორდით დაიწყო

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 20 საათი. ტალინი. კადრიორგი. 300 მაყურებელი

## ლანტანა 0:5 ტორპედო

0:1 ხვადაგიანი (2), 0:2 ჯანაშია (32), 0:3 იონანიძე (38), 0:4 ჩხეტიანი (54), 0:5 მეგრელაძე (65)



იუზა კაციტაძე
ტალინიდან

არა, მომკალით და, არ უყვართ მშვიდ და თავაზიან ესტონელებს ეს ფეხბურთი. ნახევარმილიონიან დედაქალაქში უეფას თასის თამაში 300 კაცზე მეტს რომ არ დააინტერესებს და 48-ადგილიან პრესლოჟაში 4 ჟურნალისტი, აქედან 3 ჩამოსული (ჩვენს შემთხვევაში — ქართველი) რომ დაგიჯდება, სხვა რა უნდა იფიქრო. იფიქრო კი არა, ასეა. არ უყვართ ფეხბურთი და მორჩა.

ბურთი რომ მრგვალია, თანაც ეშმაკს რომ არ სძინავს, თორემ ჩვენი „ტორპედო" ესტონელ რუსთა გუნდს რომ არ ახეირებდა, რა დიდი მისახვედრი იყო. გუშინწინ სანახევროდ მოწყობილ „კადრიორგზე" (ყოფილი „დინამოა") სავარჯიშოდ მისულ მეტოქეთა მზადყოფნაში იმხელა სხვაობას შეამჩნევდით... დიახ, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ დავით ყიფიანის შეგირდებს მართლაც ახალგაზრდულ „ლანტანასთან" პრობლემები შეექმნებოდათ. ჰოდა, ისემც ყველაფერი აგიხდეთ.

ბურთი თამაშში ინგლისურ ფირმა „უმბროს" ახალთახალ თეთრ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილმა სტუმრებმა შეიყვანეს და, მოგეცათ ლხენა...

„ტორპედოს" პირველივე შეტევას გოლი მოჰყვა. ჯერ ახვლედიანმა ითამაშა კარგად, მარჯვნიდან სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ორი მცველი მოატყუა და კარში დაარტყა. კუთხური. ჩხეტიანმა ჩააწოდა და მასპინძელთა საჯარიმოში ჩასულმა ვახტანგ ხვადაგიანმა მაღალ ნახტომში თავური ყველას დაასწრო. კალიმულინმა თითქოს გამოიტანა ბურთი, მაგრამ თანამსაჯმა უმალ გოლი დააფიქსირა — ბურთმა ჰაერში გადაკვეთა ხაზიო. სამი წუთიც და მეგრელაძესაც უნდა გაეტანა — მის მიერ დაკარგულ შანსს უაღრესად ხელსაყრელი ეთქმოდა: დავით ჯანაშიამ მას მარჯვნიდან გაუჭრა, გიორგი კარის წინ იმყოფებოდა, მაგრამ დარტყმა ვერ მოასწრო.

სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა და მათაც დინჯად განაგრძეს თამაში. „ტორპედოს" მცველებს ისე საიმედოდ ჰყავდათ დაბორკილი ლანტანელი თავდამსხმელები — ლეიტანი და ვალუისკი, რომ ამათ გასაქანი ერთხელაც არ მისცემიათ. მათი დამხმარე კი არავინ ჩანდა.

26-ე წუთზე ზურაბ იონანიძემ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ოდნავ წაიწია და უზუსტესი შორეული გადაცემით გიორგი გოგიაშვილი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. გოგიაშვილმაც არ დაახანა, ძლიერადაც „გაისროლა" კარისკენ, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ გადაარჩინა. ორიოდ წუთში ჯანაშიამ დაარტყა სახიფათოდ, ბურთი ოდნავ ასცდა ძელს. მართალია, ამ ჯერზე ტორპედოელს არ გაუმართლა, მაგრამ სულ მალე მანვე უფრო ზუსტად და, რაც მთავარია, მშვენივრად ითამაშა — საჯარიმოს წინ, მოკლე მონაკვეთზე, სამი მცველი დატოვა პირშიჩალაგამოვლებული და უნაკლოდ დაარტყა. „ლანტანას" მეკარე პაველ კისელიოვმა თვალიღა გააყოლა კარში შევარდნილ ბურთს. ესეც ორი.

მესამე გოლი მეგრელაძის გადაცემის შემდეგ იონანიძემ გაიტანა 15 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით. ტაიმს წამატებულ ორ წუთში მასვე „დუბლის" გაკეთების შანსი მიეცა, მაგრამ ამჯერად „ლანტანას" მეკარემ იმარჯვა, ტორპედოელის დარტყმული კუთხურზე გადააგდო.

თამაში რომ განახლდა, მასპინძლებს თითქოს გამოცოცხლება დაეტყოთ. უკანდახეულმა ნახევარმცველმა, ლანტანელთა ყველაზე გამოცდილმა მოთამაშემ ფიოდორ ვორონინმა თავდამსხმელად იწყო თამაში და ერთი-ორჯერ სახიფათოდაც შეუტია ჩვენს დაცვას.

50-ე წუთზე ვორონინი „ტორპედოს" საჯარიმოში შეიჭრა ბურთიანად, მაგრამ ჭანტურიამ იმარჯვა, ლანტანელს ფეხებში ჩაუვარდა და კუთხურით განმუხტა მდგომარეობა.

მასპინძლებისა ესღა იყო, მერე კი ქებათა-ქება ტორპედოელებს. კვეტენაძე — მეგრელაძე — ჩხეტიანის სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელმა მეოთხე გოლით დაასრულა. ისედაც უმწეო „ლანტანა" მთლად დაიბნა. ტალინელებს ვერც შეცვლაზე შესულმა მოთამაშე-პრეზიდენტმა უშველა. სერგეი ბელოვის გამოჩენას ცხრა წუთში გიორგი მეგრელაძემ ლამაზი მეხუთე გოლით უპასუხა.

დარჩენილ 25 წუთში „ტორპედომ" ბურთი დაიჭირა, დავით ყიფიანმა კიდევ სამ ფეხბურთელს მისცა თამაშის საშუალება და...

„სპასიბო, დავიდ, ზა იგრუ" — მიულოცა ტრიბუნიდან ვიღაც რუსმა ტორპედოელთა თავკაცს.

მართლაც, მადლობა „ტორპედოს": ევროტურნირში სტუმრად ასეთი ანგარიშით ჩვენებურ გუნდს ჯერ არ მოუგია.

26 აგვისტოს „ლანტანას" ქუთაისში „გივი კილაძის" სტადიონზე, ფაქტობრივად, ალარაფერი ესაქმება.

საპასუხო შეხვედრა ფორმალობად იქცა.



აბა, ისე როგორ იქნებოდა, ხუთიდან ერთი გოლი დავით ჯანაშიას არ გაეტანა

**ლანტანა**

1. კისელიოვი

3. კალიმულინი 5. ვორონინი

16. კულაკოვი — 8. მიტიუნოვი — 4. კოლოცეი

7. ჩელნოკოვი — 20. გორიაჩოვი

9. დოლინინი

10. ლეიტანი — 11. ვალუისკი

10. მეგრელაძე — 9. დ. ჯანაშია

2. იონანიძე — 8. გოგიაშვილი

17. ჩხეტიანი — 7. კ. კვეტენაძე — 21. ახვლედიანი

6. შეყრილაძე — 24. ხვადაგიანი

18. თურმანიძე

1. ჭანტურია

**ტორპედო**

შეცვლა: ლეიტანი — 21. ბელოვი (56), კ. კვეტენაძე — 14. ვ. მაისურაძე (67), მეგრელაძე — 20. მ. ბობოხიძე (76), კისელიოვი — 12. კოტენკო (80), თურმანიძე — 11. ვაჩიბერაძე (80), ვალუისკი — 14. მირსკი (87)

გაფრთხილება: კ. კვეტენაძე (17)

მსაჯები: ზ. სავიჩი; ჟ. ილიჩი, უ. სუბოტიჩი; ა. ოლარევიჩი (ყველა იუგოსლავია)

უეფას დელეგატი: პ. ქიდოვსკი (სლოვაკეთი)

### მატჩის შემდეგ

*გელა კიკალეიშვილი, „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:* დავით ყიფიანის მიერ არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. მეტოქეზე ორი თავით მაღლა ვიდექით. ბიჭებს მადლობის მეტი არაფერი ეთქმით...

*ანატოლი ბელოვი, „ლანტანას" მთავარი მწვრთნელი:* ვიცოდი, რომ გავვიჭირდებოდა, მაგრამ ასეთი ანგარიშით თუ დავმარცხდებოდით, არ მეგონა. კარგი გუნდი გყოლიათ და ალალად მოიგეთ, „ტორპედომ" ყველაფერში გვაჯობა...



ტორპედოელები მეორე წუთზე ვახტანგ ხვადაგიანის (№24) თავურით დაწინაურდნენ

### ჰოლანდია

I ტური
სპარტა 0:2 ტილბურგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli